„მოგზაური“ წელიწადში ღირს 5 მან. ნახევარ წლით 3 მ. ცალკე ნომერი 10 კ. ადრესი: თფილისი, ნიკოლოზ. ქ, № 44.

მოგზაური

რედაქცია ღია ყოველ დღე დილის 10 სათ. შუადღის 1 საათამდე, და საღამოს: 6 სათ. 7 საათამდე.

ყოველკვირეული ჟურნალი

№ 23. კვირა, 19 ივნისი **1905** წლისა. **№ 23.**

შინაარსი: ა. გ. ბულიგინის პროექტი.—სამძიმრის დეპეშები და წერილები ალექსანდრე წულუკიძის გარდაცვალების გამო რედაქციის სახელობაზე.—ალ. წულუკიძის დაკრძალვა.—სხვა-და-სხვა ამბები.—დაბა-სოფლის ამბები.—რუსეთის ქრონიკა.—შინაური მიმოხილვა —ალექსანდრე წულუკიძის ხსოვნას, ლექსი კაპ. გოგოლაძისა.—ფელეტონი, ეშმაკისა.—ჩემი შთაბეჭდილებანი, ლიასი.—ფოთში გურულ-მეგრელ მუშათა უთანხმოების შესახებ.—საფრანგეთის ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში, ანისა.—შენიშვნა.—წერილი რედაქციის მიმართ.

მეორე საზოგადო კრება

ბეჭდვითი სიტყვის მოღვაწეთა საზოგადოებისა

დანიშნულია 19 ივნისისთვის ქალაქის საპჭოს დარბაზში.

განსახილველი საგნები: ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა ქონებრივი მდგომარეობა და პრესის ვითარება კავკასიაში. კრება დაიწყება დილის 11 საათზე. შესვლისას წარდგენილ უნდა იქნას საწევრო ბილეთი.

შენიშვნა: იმ წევრებს, რომელთაც არ შეუტანიათ ყოველთვიური გადასახადი, შეუძლიანთ შეიტანონ კრების დღეს.

გამოვიდა და იყიდება

პაოლ კაუცკის

ისტორიულ-ეკონომიური ნარკვევი.

(საფრანგეთის წარსულიდან)

ანუ

კლასსთა ინტერების წინააღმდეგობა 1789 წელს.

ა. გ. ბულიგინის პროექტი.

გაზეთებში უკვე დაიბეჭდა ცნობები ბულიგინის პროექტის შესახებ, რომლის თანახმათ უნდა მოხდეს ამ ახლო მომავალში ხალხის წარმომადგენლების მოწვევა. გამოქვეყნებული ცნობები სრული არ არის, და არც ის ვიცით დანამდვილებით, თუ რამდენათ მართალია ისინი, ვინაიდგან იმათი გამოქვეყნება არ მომხდარა ოფიციალურათ. ჩვენ, რა თქმა უნდა, დიდ მნიშვნელობას არასოდეს არ ვაძლევდით ხსენებულ პროექტს, მაგრამ, ასეა თუ ისე, მაინც ვალდებულათ ვრაცხთ თავის თავს მას ანგარიში გავუწიოთ. ვალდებული ვართ განვუმარტოთ მკითხველებს, თუ რა საფუძველზე და რა პირობებში ფიქრობს ბიუროკრატიული მთავრობა ხალხის წარმომადგენლების მოწვევას. ყველამ უწყის, რომ ხალხის წარმომადგენლების მოწვევა სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მისაღებათ ჩვენს ბიუროკრატიას არასოდეს არ მოსვლია თავში. პირიქით, იგი ყოველთვის სასტიკათ ეწინააღმდეგებოდა და დღესაც ეწინააღმდეგება წარმომადგენლობითი მართვა-გამგეობის შემოღებას რუსეთში. და თუ დღეს იგი ხალხის წარმომადგენლების მოწვევაზე პროექტს ადგენს, ეს მხოლოთ იმით აიხსნება, რომ იგი იძულებულია ასე მოიქცეს, ვინაიდგან სხვა გზა მას დღეს აღარ აქვს. აქედან ადვილათ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რანაირი უნდა იყოს ბიუროკრატიის მიერ შემუშავებული პროექტი ხალხის წარმომადგენლების მოწვევის შესახებ. ბიუროკრატია დაუძინებელი მტერია იმის, რომ ხალხმა თითონ განაგოს თავის წარმომადგენლების საშუალებით თავისი საქმეები, რომ თვით ხალხი იყოს კანონმდებელი და მასვე ქონდეს უფლება პასუხი მოთხოვოს ყველა იმათ, ვისაც იგი ამა თუ იმ თანამდებობის შესრულებას ავალებს. ამიტომ თუმც ბიუროკრატია, როგორც ვთქვით იძულებული, შეიქნა ხალხის წარმომადგენლების მოწვევის შესახებ პროექტი შეედგინა, მაგრამ მას არ შეეძლო შერიგებოდა ხალხის დღევანდელ მოძრაობას, არ შეეძლო სავსებით ეცნა საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ წამოყენებული მოთხოვნები. თუმც ხალხის წარმომადგენლების მოწვევის საქმე სულ ვერ უკუაგდეს, მას აშკარათ და გამოსაჩენათ ველარ უწოდეს უაზრო და თავხედი მოსაზრება, პირიქით, ხალხის წარმომადგენლების მოწვევა დღეს საჭიროთ მიაჩნიათ იმათაც, ვინც ამ ერთი წლის წინეთ ამაზე ლაპარაკს დანაშაულათ თვლიდენ. მაგრამ წარმომადგენლებიც არის და წარმომადგენლებიც. ხალხი თხოულობს დამფუძნებელი კრების მოწვევას, რომელშიაც შევლენ ხალხის წარმომადგენლები, არჩეულნი საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და საიდუმლო ხმის უფლებით, რომელიც შეიმუშავებს სრულებით ახალ ძირითად კანონებს. მთავრობა კი ამის ნაცვლათ გვპირდება „სახელმწიფო საბჭოს“, (**Государственная дума**), რომლის წევრები ხალხის წარმომადგენლებათ იქნებიან წოდებული. სახელმწიფო საბჭოს წევრებს, ბულიგინის პროექტით, ირჩევს ხალხი, მაგრამ არა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და საიდუმლო ხმის უფლებით, როგორც ამას დღეს საზოგადოება თხოულობს; ასეთი არჩევანი უარ ყოფს ყოველ გვარ ცენზს, როგორც ქონებრივს, ისე სწავლის მხრით. ხსენებული პროექტით კი ხალხის წარმომადგენლების არჩევნები უნდა მოხდეს 1864 წლის საერობო დებულების საფუძველზე; ე. ი. ამომრჩევლებათ იქნებიან მხოლოთ მიწათმფლობელნი, სოფლის საზოგადოებათა წარმომადგენლები (და არა თვით საზოგადოებანი) და ქალაქის მესაკუთრეები. ამნაირათ აქ უარყოფილია საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი ხმის უფლება. აშკარაა, რომ თუ მართლა ამ წესით მოხდა ხალხის წარმომადგენლების არჩევა, ეს უკანასკნელები მხოლოთ სიტყვით იქნებიან ხალხის წარმომადგენლები, ნამდვილათ კი ისინი მიწათმფლობელების და ქალაქის ბურჟუაზიის წარმომადგენლები იქნებიან. გლეხ-კაცობის უმეტესი ნაწილი და ქალაქის მუშა ხალხი, პროლეტარიატი, საარჩევანო უფლებას სრულებით მოკლებული დარჩება; ე. ი. არც სოფლის გაჭირვებულ გლეხობას და არც ქალაქის მუშა ხალხს სახელმწიფო საბჭოში თავისი წარმომადგენელი არ ეყოლება. თუ რომ ხსენებული პროექტი ცხოვრებაში განხორციელდა, ადვილი წარმოსადგენია, რა შედეგი უნდა მოყვეს ამას. მეორე მხრით

რა ძალა და მნიშვნელობა უნდა დაურჩეს პროექტის ძალით რუსეთის სახელმწიფო საბჭოს? როგორც ვიცით, სახელმწიფო საბჭო არსებობს დღესაც მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ დღევანდელი საბჭოს წევრებს ნიშნავს თვით მეფე. ბულიგინის პროექტით ეს საბჭო რჩება ახალი საბჭოს გვერდით; მაგრამ არსებულ საბჭოს უპირატესობა ექნება იმ საბჭოსთან, რომელშიაც ხალხის წარმომადგენელები შევლენ. დღეს სახელმწიფო საბჭოს რუსეთში არავითარი მნიშვნელობა და ძალა არა აქვს, რადგანაც ყოველივე მეფის სურვილზე კიდია ან და ადმინისტრაციის თვითნებობაზე, და ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდგან საბჭოს წევრებს თვით მეფე ნიშნავს და არა ხალხი ირჩევს. თუ ბულიგინის პროექტი განხორციელდა, დღევანდელ სახელმწიფო საბჭოს ზედა პალატის როლი მიენიჭება, მაშასადამე, ქვედა პალატის როლს ახლათ განზრახული საბჭო შეასრულებს. რაში უნდა გამოიხატოს ეს როლი, რა უფლება და ძალა უნდა დაურჩეს ამ ქვედა პალატას საქვეყნო საქმეების მართვა-გამგეობაში, ახალი კანონების გამოცემაში და ძველი, დროს გადასული, კანონების გაუქმებაში, ესეც ადვილი წარმოსადგენია. ჯერ ერთი ისა, რომ სახელმწიფო საბჭო, ქვედა პალატის სახით, სათათბირო ორგანოა, რომელსაც ნება ექნება განიხილოს ესა თუ ის საკანონმდებელო აქტი, სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვა, შეეკითხოს მინისტრებს ამა თუ იმ ზომების შესახებ, აღძრას კითხვა ამა თუ იმ კანონის გამოცემის ან გაუქმების შესახებ, მორჩა და გათავდა: მას არაფერში გადამწყვეტი ხმა არ ექნება. ითათბირებს, ითათბირებს და შემდეგ, როგორც ენებება ზედა პალატას, ე. ი. მეფის მიერ დანიშნული წევრებისაგან შემდგარ სახელმწიფო საბჭოს, საქმე ისე გადაწყდება. ამნაირათ ახლათ განზრახული სახელმწიფო საბჭო არ არის კანონმდებელი, იგი ვერ განახორციელებს ჩვენში წარმომადგენელობით მართვა-გამგეობას: მის წინაშე არავინ არ იქნება პასუხის მგებელი. აშკარაა, რომ ამ სახით ხალხის წარმომადგენელების არჩევას, თუნდაც, რომ აქ მარტო მიწათმფლობელები და ქალაქის ბურჟუაზია ვიგულისხმოთ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. რაღა საჭიროა ამდენი დავიდარაბა, ამოდენი ყოყმანი! ან ხალხის წარმომადგენელებს მიენიჭოს ის უფლებები, რომლებიც მათ ცხოვრებამ არგუნა, ან ისინი სრულებით არ უნდა იქნენ მოწვეული. მაგრამ ხალხის წარმომადგენელების მოწვევა და იმათი კრება—ეს აუცილებელი საქმეა. ასე იქნება, თუ ისე ახლო მომავალში რუსეთის ხალხის წარმომადგენელები უთუოთ შეიკრიბებიან. აქედან კი თავისთავათ იგულისხმება, თუ რა უფლებით უნდა იქნას აღჭურვილი ხალხის წარმომადგენელთა კრება. ეს კრება აუცილებლათ უნდა გადაიქცეს დამფუძნებელ კრებათ. სხვა გზა მას არ აქვს.

დეპეშები და სამძიმარის წერილები.

თელავი. ალექსანდრე წულუკიძის უდროვო გადაცვალების ამბავმა გამოუთქმელი მწუხარება მოგვაყენა. მისი აღთქმა წმინდაა ყველა ჩვენგანისათვის.

ქართველთა და სომეხთა ახალგაზრდობა.

სოჩა. გულწრფელათ ვგლოვობთ ძვირფასი ამხანაგი ალექსანდრე წულუკიძის დაკარგვას.

სოჩელი ამხანაგები.

ცაგერი. ღრმა მწუხარებით ვეგებებით ძვირფასი ამხანაგი საშას დაკარგვის ამბავს.

ამხანაგები.

კიდევ ერთი მსხვერპლი! საუკუნოთ დადუმდა საშას მეტყველი ენა. ძველმა სენმა ახალ ხანაში მოუსპო სიცოცხლე და საბრძოლველი ძალა! ძნელია, როცა ისეთიც მცირე გუნდს უდროოთ გამოაკლდება მუშაკი! და ღრმათ შეწუხებულნი საშა წულუკიძის სიკვდილით ვუერთდებით მის ამხანაგ-მეგობრებ-ნათესავების წუხილს და ძალა მოცულნი მეტ ენერგიით ვიბრძოლებთ...

საშა მოკვდა, მარა მისგან არჩეულ ცხოვრების გზაზე მავალთა რიცხვი ერთი ორათ იმატებს.

ნეტარ იყოს ხსენება შენი, უსამართლობის წინააღმდეგ დაუძინებელო მებრძოლო, სულით ძლიერო საშა!!

სარიყამიშელთა ჯგუფი.

ისეთ დროს, როცა ბრძოლის ასპარეზზე მებრძოლთა განსაკუთრებით მეტი რიცხვია საჭირო, ჩვენ რაზმს გამოაკლდა ერთი დაუღალავი მოღვაწეთაგანი—ალექსანდრე წულუკიძე. ძკირფასი ამხანაგის უდროო სიკვდილმა მწარე მწუხარების გრძნობა აღძრა ჩვენ გულში. მისი სხეული გაგვშორდა, მარა მისი ნათელი სახელი მუდამ დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის და ყველა იმათთვის, ვინც მის მოღვაწეობას ცოტათ თუ ბევრათ კარგათ იცნობდა. ჩვენ კი, ჩვენი მარით, შენს, ჯერ გაუმშრალ, საფლავის წინაშე სიტყვას ვდებთ, ძვირფასო ანხანაგო, რომ ის მოძღვრება, რომელსაც შენ ემსახურებოდი და ძალ-ღონე შეალიე—ჰუდამ წმიდა იქნება ჩვენთვის და სიკვდილამდე ვიბრძოლებთ შენი იდეალის გასახორციელებლათ.

ქ. თფილისი. იარალოვის ზავოდის მუშები.

ალექსანდრე წულუკიძის დაკრძალვა.

12 ივნისია. გულ-დათუთქული ხალხი ყოველ მხრიდან მიეშურება ძვირფასი ცხედრის გამოსამშვიდობებლათ. ნიშნათ თანაგრძნობისა ცაც ბოიღუშა, მოსკდა ღრუბლები, ჩამოაბნელა მთლათ არე-მარე: ეზო და ქუჩა ხალხით გაიჭედა, ყველას სახეზე უზომო მწუხარება ეხატება. შესრულდა ცხრა საათი და განსვენებულის ცხედარიც გამოასვენეს. ხალხში, რომელიც ერთსა და იმაკე გრძნობას შეეპყრო, ჩუმი, რაღაც გულ-შეუსაზარი დრტვინვა გაისმა, მწარე გულ საკლავი ქვითინი ამოსკდა ყველას გულიდან. ცაც თითქო თანაუგრძოობსო ხალხის მწუხარებას, მეტათ მოიღუშა და ისიც სატირლათ მოემზადა. კუბო ცოტა ხნობით დაასვენეს ეზოში, სადაც წაკითხულ იქმნა სხვა და სხვა მხრიდან გამოგზავნილი მრავალი სამძიმრის დეპეშები. წაკითხულ იქმნა ერთი ამხანაგის წერილი, გამოგზავნილი ციხიდან. ბავშობიდან თან—შეზრდილი, ჭირში და ლხინში განუყრელი, მაგრამ ეხლა ოთხ კედელ-შუა გამომწყვდეული ამხანაგი წერდა თავის საყვარელ ძმას წერილს, წამკითხველიც და მსმენელნიც ქვითინებდენ, როდესაც ესმოდათ გულის სიღმრიდან ამონახეთქი უკანასკნელი სალამი ამხანაგისა, რომელიც ჰფიცავდა, რომ ის ერთის წუთიც არ შეჩერდება იმ გზაზე, რომელიც აირჩია მისმა ამხანაგმა, გამხნევებული საშას მაგალითით, ის უკანასკნელ სულის ამოსვლამდე არ უღალატებს თავის რწმენას, იბრძოლებს მედგრათ, გახელებულათ და ბოროტებასთან ბრძოლაში გაატარებს თავის სიცოცხლეს. იქვე რუსულათ წარმოსთქვა სიტყვა ბათუმის წარმომადგენელმაც. ამის შემდეგ მუშებმა ცხედარი წაასვენეს. წინ მწყობრათ დარაზმულ მუშებს 80 მდის წითელ—ლენტები ანი გვირგვინი მიქონდათ. გვირგვინებზე მრავალი სხვა და სხვა წარწერები იყო, მაგრამ ეს წარწერები თავისი შინაარსით მხოლოდ ერთს გვეუბნებოდა: საშა იყო პროლეტარიატის ინტერესების დამცველი, ჩაგრულთა მოსარჩლე, ბოროტების მოწინააღმდეგმე თავგანწი-

როლო მებრძოლი და შეურიგებელი მტერი ყოველივე უსამართლობისა. დაიძრა თუ არა პროცესია, მოღრუბულმა ცამ ერთბაშათ დაიგრიალა და თან კოკის-პირული წვიმა მოჰყვა. წვიმდა განუწყვეტლივ ხონამდის. ბუნებას თითქო უნდოდა დაემტკიცებია, რომ გათვითცნობიერებულ მშრომელ ხალხს ვერ „შეაჩერებს ვერც სიღარიბე, ვერც ცხოვრების უკულმართობა, ვერც სატანჯველი, ვერც ქვეყანაზე დამყარებული უსამართლობა", ვერც წვიმა და ვერაფერი—ის ძლევს ყოველ გვარ დაბრკოლებას, დალეწს ბორკილებს, რომლითაც ის შებოჭვილია და აუცილებლათ მიაღწევს თავის მიზანს — ძმობასერთობის, თავისუფლებას, მუქთა—ხორების მოსპობას და შრომის გაბატონებას,—სოციალიზმს.— საერთო მწუხარ სიჩუმეს მხოლოთ კოკის პირული წვიმის შხუილი არღვევს. ერთი ვერსის მანძილზე გაჭიმული პროცესია, ნელა, ზანტათ, დაღვრემილი მიიზლაზნება... ყველა ერთსა და იმავე ფიქრს გაუტაცია: —ვერ შერიგებიან საშას უდროოვოთ სიკვდილს, ფიქრობენ მის ხან მოკლე, მაგრამ ნაყოფიერ სიცოცხლეზე... ხალხი ერთბაშათ შეინძრა, მწუხარება ერთბაშათ აღფრთოვანებათ შეიცვალა. პროცესიის წინა რიგში დროშის დანახვაზე გამოფხიზლდენ მუშები, წელში გასწორდენ და გამხნევებულებმა დასძახეს თავისუფლების სიმღერა, მარსელიეზა. მეტათ დიდებული იყო სურათი, რომ კაცმა იმის აღწერა შეიძლოს. არის იმისთანა რამ, რომლის სიდიადის მხოლოდ გრძნობა შეიძლება და არა შეგნება და აი სწორეთ ამ ნაირ დიად სურათს წარმოადგენდა ერთათ შეკრებილი, ერთი რწმენით, ერთი გრძნობით გატაცებული მარსელიეზას მომღერალი ხალხი. აი ეს აზრი ამხნევებდა მუშებს და სწორეთ ამის გამო შესცვალეს მწუხარება აღფრთოვანებათ. მათ მოაგონდათ საშას სიტყვები, რომ ჩაგრულთათვის სიკვდილი ნეტარება უნდა იყოს ყოველი პატიოსანი კაცისთვის, რომ პროლეტარიტის დიდებული მიზანი მოითხოვს თავგანწირულსა და მედგარ ბრძოლას, მოითხოვს მსხვერპლს და სწორეთ ამ ბრძოლის სურვილი აღეძრათ მუშებს გულში, მან მოაწმენდია ცრემლები, მან გაუორკეცა ენერგია... ქალაქს ბოლოში, სადაც განსვენებული დაასვენეს, გრძნობით სავსე სიტყვები წარმოსთქვეს ბათუმის მუშების წარმომადგენელმა და თბილისის სომეხთა მუშების წარმომადგენლებმა. გზა და გზა ხალხი თან და თან ემატებოდა. სოფელ მაღლაკში პროცესიას ხალხი წითელი დროშით და მარსელიეზათი შეეგება. წარმომადგენლებმა სიტყვები წარმოსთქვეს, რომელშიაც აღნიშნეს რა საშას მოღვაწეობა, დაიფიცეს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ემსახურონ იმ დიად საქმეს, რა საქმესაც განსვენებული სანთელსავით შეადნა. სიტყვებმა საერთო აღტაცება გამოიწვია. სოფელ გუბში და კუხში პატივის ცემით, იმავე აღტაცებით, წითელი დროშებით და მარსელიეზას სიმღერით შეეგება განსვენებულის ცხედარს ხალხი. ყველგან სიტყვები, ყველგან ხალხისაგან თანაგრძნობა.. აი ხონშიც მიასვენეს. აქ, ხონის შესავალში, ერთ ეკლესიის მახლობლათ, სადაც დაემზადებიათ სამუდამო ბინა თავგანწირული მებრძოლისათვის, დაასვენეს ცხედარი, რომლის წინაშე მრავალი საგულისხმიერო სიტყვა წარმოითქა. სხვათა შორის, ჩვენი რედაქციის სახელით, ბატონმა კ. ჯაფარიძემ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „ძვირფასო ამხანაგო, ნება მიბოძე, „მოგზაურის" მონდომილობით უკანასკნელათ გამოგესალმო, უკანასკნელათ ვეამბორო შენ პატიოსან ცხედარს. შენგნით დაობლებული რედაქცია ცხარე ცრემლებსა ღვრის, დატირის თანამშრომელს, სტირის საუკეთესო ამხანაგს, სტირის მუშა ხალხისთვის თავდადებულ მებრძოლს. თავგანწირული ბრძოლა ბოროტებასთან—აი დამახასიათებელი თვისება საშა წულუკიძისა. ეს ბოროტებასთან ბრძოლა შეადგენდა საშასთვის ერთათ ერთ იმედს, ერთათ ერთ მის მისწრაფებას. დაუღალავი მუდმივი შრომით და თავგანწირული ბრძოლით დაიტანჯა საშა, მთლათ დაიცალა ის სისხლისაგან და სწორეთ ამისთვისაც უყვარს ის მადლიერ მუშა ხალხს, ამისთვის უგალობს ის საშას ქებათა-ქებას. მუშა ხალხისთვის თავის განწირვა—აი რაშია სიცოცხლის აზრი!! ო, ამხანაგო, მამაცო, კარგო! მტერთან ბრძოლაში მთლათ დაიცალე შენ სისხლისაგან, მაგრამ მოვა დრო, როს დანთხეული სისხლის წვეთები შენი, მებრძოლო, უცბათ იფეთქებს ჯერ კიდევ ბნელსა ამ ქვეყანაში და მიხვდებიან შენსავით გმირნი, თუ როგორ უნდა სიმართლისთვის ბრძოლა, სიკვდილი... მოკვდი, ძვირფასო მაგრამ რა ვუყოთ! შეუპოვარნი, სულით ძლიერნი გიმღერენ ქებას. თავგანწირული შენი აქ ბრძოლა, გმირული ქცევა სამაგალითოთ იქნება სხვისთვის და შენებრ მამაცთ აუძგერებს გულს თავისუფლების და სიმართლისა მოსაპოვებლათ"...

სხვა და სხვა ამბები.

— «კავკაზში» სწერია; 15 ივნისს, საღამოს 8 საათზე, რკინის გზის ლიანდაგის მახლობლათ, ნაძალადევის უბანში, ვიღაცამ ფინური დანით მოკლა რკინის გზის მთავარ-სახელოსნოების სავაგონო ამქრის ბრიგადირი ივანე როკი. მკვლელობა მოხდა იმ დროს, როცა აღნიშნული როკი პატრიოტული კრებიდან შინ ბრუნდებოდა. მკვლელი გაქრა.

— იმავ 15 ივნისს სტრელკოვის ქუჩაზე დავიდოვის სახლში, რევოლვერით მოკლეს პატრიოტულ მუშათა პარტიის დეპუტატი, რკინის გზის მთავარ სახელოსნოების სამჭედლო ამქრის მეფეჩე ნიკოლოზ სეჩინოვი. მკვლელობა ასე მომხდარა: პატრიოტული კრების შემდეგ, რომელიც იმავ საღამოს მისიონერთა ეკლესიის გალავანში მოხდა, სეჩინოვი შინ დაბრუნებულა. მასთან მეზობელი ქალი მისულა სალაპარაკოთ და აი ამ მუსაიფის დროს, სეჩინოვს ორი ტყვია მოხვედრია და უსულოთ დაცემულა. მკვლელს ეძებენ.

— ოთხშაბათს 15 ივნისს, კუკიის სამისიონერო ეკლესიის გალავანში პატრიოტული კრება შესდგა. კრებას რკინის გზის სახელოსნოს მუშების ნაწილიც დაესწრო. პატრიოტული კრება საღამოს შვიდ საათზე გათავდა და ხალხიც დაიშალა.

— 15 ივნისს სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ტფილისის მცხოვრებთა შუსტოვისა, გოგიასი, მაღრაძისა და რაუსალისა, რომელთაც მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებისა და ბროშურების გავრცელება ბრალდებოდათ. შუსტოვს ამას გარდა ისიც ბრალდებოდა, რომ იგი ეკუთვნოდა სოციალ დემოკრატიულ პარტიას და ამ ორგანიზაციასთან ერთათ მთავრობის საწინააღმდეგო საქმეებში იღებდა მონაწილეობას, საქმე ხალხის დაუსწრებლათ გაირჩა. შუსტოვს იცავდა ნაფ. ვექილი ბ ნი ივ. ზურაბიშვილი, გოგიას ტ. იოანესიანი, ხოლო მაღრაძეს და რაუსალს თავ. ი. ბარათაშვილი. მაღრაძე საპყრობილეში ჯდომის გამო ჭლექათ ჩავარდნილა და რადგან ვერ გამოცხადდა, იმის შესახებ საქმე გადაიდო. პალატამ დამნაშავეთ იცნო შუსტოვი და გოგია. პირველს გადაუწყვიტა ერთის წლით, ხოლო მეორეს 8 თვით საპყრობილეში დაპატიმრება. პალატამ რაუსალი გაამართლა.

— რადგანაც ამ ბოლო ხანებში ქ. ტფილისში პოლიციელების სიკვდილმა შესამჩნევად იმატა, გუბერნატორმა გო-

როდოვოებს ყარაულათ ჯარის კაცები მიუჩინა. გარდა ამისა დღე-ღამობით ქუჩებში რაზმები დადიან.

— ფუნიკულერის მოსამსახურეთა გაფიცვა ჯერაც არ გათავებულა, რადგანაც მოსამსახურეთა მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელია.

— პეტერბურგიდან დეპეშით იუწყებიან: გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატისადმი: „საჭიროთ დავინახეთ გავაძლიეროთ ჩვენი ლაშქარი შორეულს აღმოსავლეთში და ამიტომ ვუბრძანებთ ჩვენს სამხედრო მინისტრს, ახლავე მოახდინოს შესაფერი განკარგულებანი და, შორს მყოფ ჯარების დანაკლისის შესავსებლათ, საომარ ფეხზე დააყენოს სათადარიგო ჯარის-კაცნი პეტერბურგისა, მოსკოვისა, კიევისა, ვარშავისა და ვილნოს სამხედრო ოლქებიდან. ცხენების მობილიზაცია გამოცხადდეს ვილნოსა, კიევისა და ვარშავის სამხედრო ოლქებში“.

— დაბა ხონში ერთი ექიმისსათვი მეეტლეებს ბოიკოტი გამოუცხადებიათ. მიზეზები ესა ყოფილა: ექიმი ეტლს ერთ საათს თავის სახლთან აცდიებდა და თითონ მწევარ მეძებრებზე ლაპარაკობდა. ასევე იქცეოდა ავადმყოფისას, როცა თავის საქმეს მორჩებოდა. ექიმს ყოლია დანიშნული ორი საუკეთესო ეტლი და თუ არ იმაში, სხვა ეტლებში იშვიათად ჯდებოდა. ხშირათ უნახავთ ავათმყოფის პატრონი როგორ დარბოდა ქუჩებში რაღაც ქაღალდით ხელში, (რომელზედაც იმ ორი მეეტლის გვარი ეწერა) და ეტლს ეძებდა. მეეტლეები თხოულობენ ხსენებულმა ექიმმა ეს ჩვეულებები მოიშალოს.

დაბა—სოფლის ამბები.

ჭიათურა. წინა წერილში ვწერდი: („მოგზაური“ № 13.) გაიფიცნენ ბაზრის ვაჭრების ნოქრები და ჯერ-ჯერობით მოითხოვეს კვირა—უქმე დღეებში სავაჭრო—სახელოსნოების დახურვა გარდა სამიკიტნოსა, ფურნებისა და მებუტკეებისა, რომელიც დაკმაყოფილებულ იქნა მეოქი“.

წასულ კვირაში ხელ-ახლა გაიფიცენ ჭიათურის ნოქარ-ქარგალ-შეგირდები და წარუდგინეს თავიანთ აღებს შემდეგი მოთხოვნილებანი:

1) დაწესდეს ათი საათის სამუშაო დღე, დილის 7 საათიდგან საღამოს 7 საათამდე.

2) მოემატოს ყველას დღევანდელ ჯამაგირზედ 40%.

3) მიეცეს ყველას რიგიანი ბინა, აბანო თვეში ერთხელ, ქმობა, შეგირდებს ტან-ფეხი და საცვლები.

4) მიღება ან დათხოვნა ნოქრების, შეგირდებისა და ქარგლების უნდა ხდებოდეს იმათთან შეთანხმებით.

5) „ხაზეინისაგან“ დათხოვნილ ნოქარს და შეგირდს მიეცეს სამი თვის ჯამაგირი; ვინც თავის ნებით წავა ერთი თვის.

6) გაუქმებულ იქნას 20 გირვანქაზედ მეტი ტვირთის გადატან-გადმოტანა შეგირდების ხელით.

7) დაედოს საქონელს გადაჭრილი ფასები და დაწესდეს საქონლის შეუვაჭრებლათ გაყიდვა.

8) შემცირდეს შეგირდობის ვადა 2—3 წლამდე, მათ-კი, ვინც იყო გარიგებული 4—5 წლით, თუ აქვს გათავებული 3 წელიწადი დაენიშნოს ჯამაგირი;

9) მიეცეს წელიწადში ერთი თვის თავისუფლება; (არაა ნათქვამი ეს ერთი თვე საქმე დღეებში იქნება გამორიცხული თუ უქმეებიც მიეთვლება, მაგ. საშობაოდან ნათლის ღებამდის და მისთანები;)

10) მოისპოს საშეგირდო ფული.

11) ზრდილობიანი მოპყრობა ხაზეინებისაგან.

12 მოისპოს საქონლის დუქნის წინ გამოტანა და მაღაზიის დაძახება.

13) მიეცეს ნოქარს და ქარგალს საჭმელის ფასათ 30 კაპ. და შეგირდს 25 კაპ.

14) აიკრძალოს 16 წლამდე შეგირდის მიღება.

15) ავათმყოფობის დროს ხაზეინის ხარჯი და ჯამაგირი ერთ თვეს, ხოლო ადგილი არ დაეკარგოს 6 თვეს.

გაფიცვა გაგრძელდა ერთ კვირას, შემდეგ-კი მთელი მოთხოვნილება დააკმაყოფილეს და ზედ ხელი მოაწერეს ხაზეინებმა, იმ ცვლილებებით რომ ვისაც 10—20 მანეთამდე აქვს თვეში, მას მიემატება 30%. ვისაც 20 მან. მეტი,—20%.

ანუ წლიურათ ვისაც 200 მან. მეტი ქონდა 20%: ვისაც ნაკლები 30%. ამ რიგათ შერიგდენ „ხაზეინები და ნოქარ-ქარგალ-შეგირდები, მაგრამ არ შემიძლია სამწუხაროთ არ აღვნიშნო, რომ ზოგიერთი მათგანი თავისუფალ დროს ლოთობასა, და უბრალო ლაზღანდარობას ანდომებენ.

სასურველია, რომ ამხანაგებმა თვითონ გაასწორონ ასეთი პირები, და რამდენათაც შესაძლებელია მოაშლევინონ ცუდი, ზნეობრივათ დამაქვეითებელი ჩვეულებანი. კარგი იქნება აგრეთვ მრეწველთა საბჭომაც განაახლოს „განსვენებული“ საკვირაო სკოლა, რადგან ამდენ ნაყოფს ის სხვა დროს ვერ მოიტანდა, როგორც ეხლა.

ლადო გუბელი.

—

აბაშა (სამეგრელო). ადმინისტრაციის რეპრესიული ზომებით გამოწვეული რეაქციის შემდეგ სამეგრელოში გლეხთა მოძრაობა ისევ ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. ერთი თვის განმავლობაში სამეგრელოს ყოველ კუთხეში მოისმოდა გულშემზარავი ოხვრა უდანაშაულოთ დაჭერილების გულდაწყვეტილ ცოლ-შვილებისა. საერთო მუშათა მოძრაობით აღფრთოვანებული და ერთობის ძალით გატაცებული ხალხი ხუთი თვის განმავლობაში ახდენდა სისტემატიურათ კრებებს და მრავალ რიცხოვან 5000—6000 დემონსტრატიულ მიტინგებს (6 აპრილს აბაშის რაიონში და 18 აპრილს სენაკის რაიონში) და წითელ დროშის ქვეშ მშვიდობიანათ იშლებოდენ. ყველა იგნებდა დღევანდელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წეს-წყობილების უვარგისობას და ყველგან უერთდებოდენ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. დღეს აქაურმა გლეხ-კაცობამ საკმაოთ შეიგნო ომის მნიშვნელობა და ყველგან გაისმის ომის შეწყვეტის მოთხოვნილების და დაუყოვნებლივ დამფუძნებელი კრების მოწვევის ხმა. გულის ფანცქალით მოელიან ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის დროს და ამ მოლოდინში განაგრძობენ მზადებას. ყველგან, სადაც კი ხალხი იკრიბება, ყველგან თავისუფლებაზეა ლაპარაკი. ყოველი საქმე აქ ამხანაგურათ ირჩევა და პოლიციურ სასამართლოს მთელი სამეგრელო ჩამოშორდა. სკოლები ყველგან დახურული და გაფიცულია, როგორც შაგირდები ისე მასწავლებლებიც. მოწაფეები ძლიერ გაკვირვებულია, რომ ქალაქებიდან ზოგიერთი ეგზამენ დაჭერილი ჩამოდიან. ავაზაკობა, ქურდობა, ლოთობა, კარტის თამაში და სხვა დამამცირებელი ხელობა შესამჩნევათ შემცირდა. ამხანაგური ზომებით ერთი მეორეს ასწორებენ. აპრილის პირველ რიცხვებში სამეგრელოში დაიჭირეს 70 კაცამდე, რომლებსაც ციხეში ყოფნის დროს, მათი მეზობელ-ამხანაგებმა დაუთესეს ყანები, რის გამო ხალხი ძლიერ დაიმედებულია ერთი მეორის დახმარებაში გაჭირვების დროს. ნამესტნიკის განკარგულებით ყველა ეს 70 კაცი განთავისუფლებულ იქნა და როდესაც დამუშავებული ყანები დახვდათ, მათ სიხარულს და კმაყოფილებას საზღვარი არ ქონდა. ერთი სიტყვით ხალხის განვითარება სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ, მას ვერავითარი ძალა ვერ შეაფერხებს ვინაიდან ის ცხოვრების სიღრმიდანაა აღმოცენებული. განმათავისუფლებელი მოძრაობა თან და თან მაგრდება და ძლიერდება.

გრიშა

ლეჩხუმი. დღეს თითქმის ყველასათვის ცხადია და გასაგები ის კითხვები, რომლებიც დღემდის უმრავლესობისათვის გაუგებარი იყო. ეხლა ყველამ დარწმუნებით იცის, რომ დღემდის არსებულ წეს-წყობილებაში ცხოვრება ყოვლად შეუძლებელი და აუტანელი შეიქნა. დიდი და პატარა პირ ახდილათ აღიარებს ძველ წესების მოძველებას და დაუძლურებას... ყველა ტომის და წოდების ხალხი გაიძახის, აუცილებლათ საჭიროა რეფორმების შემოღებაო. დღეს ხალხს წინანდულათ აღარ აშინებს მათრახები და თოფის „პრიკლადები“. იგი მზათაა მსხვერპლათ დადოს არსებობა, მხოლოთ გულის წადილს მიახწიოს. დღევანდელი ხალხის მღელვარება, აგრეთ წოდებული „მუშათა მოძრაობა“, ცეცხლის ალივით მოედო მთელ რუსეთს, ფრთები შეისხა და საშინელის სისწრაფით მიაქანებს მთელ რუსეთის სხვა და სვა ერებს პროგრესისაკენ. ბევრ სოფლებს და დაბებს დღეს სულ სხვა, ახალი ელფერი ადევს; ეხლა თითქმის ყველა მოქალაქობრივ გზას ადგია და უფრო სამართლიანათ მოწყობილ ცხოვრებისაკენ მიესწრაფის. მას შემდეგ, როდესაც თითქმის ყველა კუთხის გლეხობა ამოძრავდა და ყველამ თავისი საზოგადო მოთხოვნილებები წამოაყენა ლეჩხუმელი გლეხებიც არ ჩამორჩენ ამ განვითარების გზას. იმათაც წამოაყენეს თავიანთი მოთხოვნილებები. ლეჩხუმში, როგორაც საზოგადოთ ყველგან, მუშა ხალხი ყველაფრით შევიწროებულია. თუ გურიაში ან სადმე სხვა ადგილებში სამუშაო მიწები იმყოფება მხოლოთ შემავიწროვებელ და ხელ მიუცემელ პირობობით, ლეჩხუმში სამუშაო მიწაც აღარ არის, რადგანაც ლეჩხუმი მთა გორიანი ადგილია თუმცა ცხენის წყლის პირათ და ცაგერის ქვევით, არის დაცემული ჭალები, რომლებიც უმეტეს ნაწილათ შეადგენენ მემამულეთა კუთვნილებას, მაგრამ ეს ჭალები ხომ ყველას არ ეყოფა, რის გამოც უმეტესი ნაწილი გლეხობისა იძულებულია ხშირათ წაკატის (წერაქვი) საშვალებით დათესოს მთის წვეროებზედ პური ან სიმინდი. აქ მაგალითათ ხშირათ არის ასეთი შემთხვევები: გლეხმა დათესა პური ან სიმინდი, რომელიც ამწვანდა და კარგი პირიც აქვს, მაგრამ აგერ მოვიდა წვიმა და გლეხის ნაკვტავ-ნატანჯი თვალის დახამხამებაში მოსპო და დაყუპა. რა უნდა ქნას გლეხმა? მას მრავალი წვრილი ხარჯი ყავს, მასვე აწუხებს სახელმწიფო გადასახადი, ბატონის ნადელი, მღვდლის დრამის ფული, სოფლის სასამართლოს და ადმინისტრაციისათვის ცხენების შენახვა, გზების გაკეთება და ვინ ჩამოთვლის კიდევ რამდენი მოვალეობა. ამას მიუმატეთ კიდევ ის გარემოება, თუ რა ნაირათ ხელ შეკრულია გლეხი ბატონისაგან, სადაც ძველი ბატონ-ყმური დამოკიდებულება ჯერ თითქმის სრულად ხელ-შეუხებელია და მაშინ სრული წარმოდგენა გექნებათ ლეჩხუმელ გლეხების მდგომარეობაზე. ერთათ-ერთი ხელ საყრელი და ბაზარზედ გამოსატანი გლეხს აქვს ღვინო, ხილი და შინაური ფრინველები, მაგრამ მისი ბაზარზე გატანა მას არ შეუძლია, რადგანაც ის მოკლებულია უმთავრეს გზას. გზები აქ ისეთია, რომ ყოვლად შეუძლებელია, უმეტესათ ზამთარში, ცხენით ან ურმით ადამიანმა გაიაროს, რადგანაც არ იცის, ტალახი, მეწყერი და ზვავი სად ჩანთქავს მას.

შესაძლებელია მკითხველმა იკითხოს: თუ ლეჩხუმლები ასე დაბეჩავებულია და მოკლებული ყოველ ფიზიკურ და გონებრივ აზრდას, სად არის ამ დროს ინტელიგენტებიო! მაგრამ ნურას უკაცრავათ მკითხველო, თქვენი ლამაზი თვალებით ცოტა ხნით ივერიის მე 15 №-ს გადაავლეთ თვალი და იქ ყოველისფერს გაიგებთ. გაიგებთ, რომ წინ მსვლელობის საქმე მეცელზე ყოფილა დამოკიდებული. ინტელიგენტები გაიძახიან თავიანთ კაბინეტებში: ჩვენ ყოველისფრით კმაყოფილი ვართ, ვერასოდეს მოძრაობაში მონაწილეობას ვერ მივიღებთ, გვეშინია, ვაი თუ რამე წამოგვცდეს და ვინმესგან საყვედური შეგვხდესო. მაშ ვინდა გაუწევს მუშა ხალხს მამობას? რასაკვირველია უფრო განვითარებულმა პირებმა უნდა იკისროს ეს მოვალეობა, რადგანაც გლეხობა დაბეჩავებულია, მაგრამ ნუ შეგჭამოს ჭირმა, მკითხველო, იგინი მეგობრობის და ერთმანეთის ხელი-ხელ ჩაკიდების მაგივრათ ყოველ ღონის ძიებას ხმარობენ რომ ჩააქრონ გამავითარებელ გზისკენ გლეხთა მისწრაფების სურვილები. როგორც მკითხველებმა [illegible] გარდაბხაძეებმა მოჰკლეს გლეხთა მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის თ. შამშე გელოვანი. მის დასაფლავებას დიდ ძალი ხალხი დაესწრო. ისონ გელოვანმა (მამამ გარდაცვალებულისამ) მრავალი წერილები მიიღო შვილის მეგობრებისაგან.

ასეთია დღეს დღეობით გონებით უკან ჩამორჩენილი ლეჩხუმელ გლეხთა მდგომარეობა... შავი ღამის ბურუსშია გახვეული დღეს მისი ყოფა-ცხოვრება. მაგრამ ცოტ-ცოტაობით იგიც მოდის გონს, შეიტყო რომ ის არის პატრონი თავისი თავისა და არავინ სხვა. დარწმუნდა რომ მალე სხვა ქარმა უნდა შემობეროს და იმანაც შეისხა ფრთები....

გიორგი ციხისუბნელი.

—

ნოსირი და წყემი (სამეგრელო). 29 მაისს ამ სოფლელების მცხოვრებნი შეიკრიბენ ორ ალაგას 3,000 კაცი და ქალი. იმსჯელეს რა დღევანდელ ჭირ-ვარამზე, აწონ-დაწონეს რა დღევანდელი ცხოვრების კითხვები, მოითხოვეს ის, რასაც მთელი რუსეთის მშრომელი ხალხი თხოულობს.

1.—**თავისუფლება** სიტყვის, კრების, ბეჭვდის, სინდისის, გაფიცვისა და კავშირების;

2.—მოქალაქობრივი **თანასწორობა**; (სრული გაუქმება წოდებრივი და სქესობრივი უთანასწორობისა);

3.–**ხელ-შეუხებლობა** ბინის, პიროვნების და წერილებისა;

4.—მოწვევა **დამფუძნებელი კრებისა, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და საიდუმლო** კენჭის ყრით;

5.—ხიზნებისთვის მათი ნაჭერი მიწის შენარჩუნება.

6.—დროებით ვალდებულთა განთავისუფლება. გადახდილ ფულის დაბრუნება, რომლითაც დაწესდება სოფლად „ფონდი“ საზოგადოების საჭიროებისთვის (სკოლების, საავადმყოფოების, სამკითხველოების, თეატრების და სხვათა ასაგებათ;

7.—ამავე დანიშნულებისთვის მაღაზიის ფულის დაბრუნება.

8.—სახელმწიფო და საეკლესიო მამულების დარიგება უქონლოებისთვის;

9.—სრული ადგილობრივი თვითმართველობა;

10.—ნაფიც მსაჯულთა შემოღება და მათი მატერიალური გარანტია;

11.—ეკლესიის სახელმწიფოსგან გაშორება;

12.— სწავლა საყოველთაო და სავალდებულო. ენის თავისუფლება. სწავლის ახალი მეთოდის შემოღება;

13.—საპასპორტო სისტემის გაუქმება;

14.—მუდმივ ჯარის მოსპობა და მილიციის შემოღება;

15—მოსპობა დღევანდელი პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადებისა და შემოღება შემოსავლის დაგვარი გადასახადისა. (500 მან. ნაკლებ შემოსავლის არ გადახდეს გადასახადი);

16.—ბებერი და დასახიჩრებული ბუშებისთვის პენსიის დაარსება სახემწიფოსაგან;

ამასთან გაიხსენეს რა შორეულ აღმოსავლეთის უაზრო სისხლის ღვრა, უდანაშაულო ადამიანთა სისხლის ნიაღვარი, რომელიც იღვრება რუსეთის ხალხის სახელით და აუარებელ სიმდიდრის გაფანტვა, მოითხოვეს იმის შეჩერება.

აგრეთვე სალამი უძღვნეს ყველა ერებს.

ასეთია აქეთ ხალხის სულიერი მდგომარეობა და ასეთია მისი წმინდა მისწრაფება. მასთან მზად არიან გვერდში ამოუდგენ დანარჩენ რუს-კავკასიელ დაჩაგრულ ამხანაგებს განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა და უკანასკნელი სისხლის წვეთი შეალიონ მტრის განადგურებას.

მაგრამ სანამდის ამ დიად ცვლილებას მოახდენდენ, მოითხოვეს და სისრულეშიაც მოიყვანეს შემდეგი:

1.—დროებით ვალდებულებმა არ მისცენ ეზოს ფული და ხიზნებმა დაუკლონ ბაჟი;

2.—შემამულეებს შეუმცირონ მიწის ღალა;

3.—მდვდელს მოესპოს დრამის ფული და შეუმოკლდეს სხვა გადასასადები სამდვდელო სამსახურის დროს;

4.—არ იხადონ მადზიის ფული, რადგანაც შარშანდელმა მაგალითმა დაუმტკიცა მათ, რომ ის ფულები ბირდაბირ იკარგება არასოდეს არ უბრუნდება მათ.

5.—მოსპონ ეოველივე კავშირი მთავრობასთან და დაარსონ ამხანაგური სასამართლო;

6.—მოსპონ ქორწილი და ტირილი ძველი წესით;

ხალხის ოვით მართველობამ აქეთ ძალიანი დიდი ნაოოფი მოიტანა. ისეთი საქმეები მოიყვანეს სიმართლით სისრულეში რომელნიც ბალატის კარებსაც კი ნახვიდენ. დამბა, რომელიც მთავრობის ანგარიშით 6—8 ათასი მანეთი უნდა დამჯდარიეო ორ დღეში გაკეთეს.

ამისთანა მაგალითებმა საშინლათ გამოაფხიზლა ხალხი და მისი მტრებიც საგონებელში ჩააგდო. აქური თავად-აზნაურები (რასაკვირველია უმრავლესობა და არა ყველა) სხვა და სხვა საზიზღარ ზრახვებს ხმარობს რომ რამენაირათ დასცენ ხალხი. მაგალითი ბევრი გვაქვს, მაგრამ საუბედუროთ ესდა დრო და ადგილი ნებას არ გვაძლევს თავის დროზე კი ყველაფერი იქნება.

არ იქნება მეტი ვამტნოთ მკითხველ საზოგადოებას, რომ ის კანტელარიები რაც დაიწვა აქეთ, (4—5-მდე), ყველა დაბრალდა მამასახლისებს. სუჯუნის საზოგადოების მამასახლისი მურზა დანდია ბირდაბირ მისცა ერილობაზე ხალხმა მაზრის უფროსს, და მაშინვე გააძევა ის.

ამ ნაირათ სულით დაცემული, მრავალ-ტანჯული ხალხი ამაღდა და იმედია ბოლომდი გასტანს.

აგა.

რუსეთის ქრონიკა

— 14 ივნისს მოსკოვში უმაღლესი ბრძანებისამებრ ომში გასაგზავნათ გაუწვეულ იქმნა სათადარიგო ჯარის კაცები. ახლათ გაწვეული ჯარი 20 დღეში უნდა შესრულდეს. დღეში 1500 კაცი უნდა გამოცხადდეს. ასე რომ სულ 30000 კაცს გაისტუმრებენ ბრძოლის ველზე. გაწვეულები დაუყონებლივ პოლიციის ნაწილებში გაიგზავნებიან არეულობის ასაცდენათ.

— ოდესაში მუშათა გაფიცვა დაიწყო. გაფიცულები ჯგუფ-ჯგუფათ დადიან ქალაქის ქუჩებზე და მაღაზიების დახურვას და მუშაობის შეწყვეტას მოითხოვენ, გაფიცვა თან და თან იზრდება. პოლიციელებს გაფიცულები ქვებს ესვრიან. ქუჩებში კაზაკები, მცხოვრებლები ძალიან აღელვებული არიან. ქალაქს ყველგან გაძლიერებული პოლიციის პატრულები იცავენ. განსაკუთრებით აღელვებულია ქალაქის განაპირა ადგილები და ის უბნები, საცა ქარხანა-ზავოდებია. რამოდენიმეჯერ შეტაკება მოხდა მუშებსა და პოლიცია-კაზაკებს შორის. გრადონაჩალნიკი აცხადებს, ვინაიდან ხალხმა პოლიციას და ჯარს ქვები დაუშინა, უკანასკნელთ თოფი ესროლეს აჯანყებულთო. რამოდენიმე კაცი მოუკლავთ, დაჭრილები მეტია.

— ისეთი კუნჭული არ მოიპოება რუსეთის სახელმწიფოში, სადაც დღევანდელ მოძრაობას ფეხი არ მოეკიდებიოს და ამა თუ იმ სახით არ ეჩინოს თავი. მარა ყველაზე უფრო მოუსვანარი და მედგარი მხარე რუსეთისა პოლონეთია. — აქ დღე არ გაივლის ისე, რომ რამოდენიმე პოლიციელი და სხვა ვინმე ხალხისათვის საძულელი მოხელე წუთისოფელს ან გამოასალმონ. ვერავითარმა მთავრობის სასტიკმა ბრძანებამ ვერ ვერ შეაჩერეს პოლონეთის მედგარი მოძრაობა. პირიქით, რაც უფრო სასტიკათ ეპყრობიან აქაურებს, მით უფრო სასტიკს და თავდავიწყებულ წინააღმდეგობას იწვევს ასეთი მოპყრობა. აქ რამოდენიმე დამნაშავეს სიკვდილით დასჯაც კი გადაუწვიტეს პოლიციელის მოკვლის განზრახვისათვის, მარა სიკვდილმაც ვერ შეაშინა აღელვებული ხალხი და ამ ბოლო დროს არეულობამ მეტათ გამწვავებული ხასიათი მიიღო. ქ. ვარშავაში, რომელიც უმთავრესი ცენტრია მღელვარებისა და სხვა დიდ ქალაქებში განუწყვეტლივ დემონსტრაციები ხდება. ძალიან გახშირდა ხალხსა და პოლიცია—ჯარს შორის შეტაკებები და სისხლის ღვრა განსაკუთრებით ვარშავაში, სადაც ამ დღეებში ბარიკადების გაკეთებაც სცადეს.

— ქალაქ ნიკოლაევში 14 ივნისიდან გაიფიცენ ყველა დიდი ზავოდის მუშები. გაფიცვაა აგრეთვე სახაზინო ადმირალტეისტვოში.

— ქ. ნოვგოროდში მუშაობა შეწყვიტეს რკინის გზისახელოსნოების მუშებმა, რომელნიც მოითხოვენ ქირის მომატებასა, ზდილობიანათ მოპრყობას და პირ და პირი უფროსის დანიშვნას. რკინის გზის მმართველმა განკარგულება გაგზავნა, რათა დაითხოვონ გაფიცული მუშები და დროებით შეაყენონ მუშაობა. ქალაქში არავითარი არეულობა არ არის.

— ქ. ბელოსტოკში მოკლეს ფაბრიკანტი მარეინო.

— ფინლიანდიაში ქ. ვიბორგის სასამართლომ ორი წლის ციხე მიუსაჯა რეინიკს, რომელმაც ვიბორგის გუბერნატორი მიასოედოვი ორ ადგილას დასჭრა ტყვიით. ასეთი მცირე სასჯელი იმიტომ გადაუწყვიტეს რეინიკს, რომ უკანასკნელს გუბერნატორის მოკვლა პირადი ინტერესებისათვის არ გადაუწყვეტია: რეინიკი დარწმუნებული იყო, რომ გუბერნატორი მიასოედოვი ხალხისათვის მავნე პირი იყო და მისი აზრით კიდევ ბევრ ზიანს მოუტანდა საზოგადოებას. პოლონეთში კი ორ ახალგაზრდა კაცს, რომელითაც პოლიციელების (ერთს პოლიცმეისტრის თანაშემწის, მეორეს ბოქაულის თანაშემწის). მოკვლის განზრახვა ბრალდებოდათ—სასამართლომ ჩამორჩობა გადაუწყვიტა,

— პეტრე-პავლეს ციხის მახლობლათ (პეტერბურგში) აშენებენ ახალ აკლდამას რუსეთის სამეფო საგვარეულოსთვის. აკლდამის ასაშენებლათ ერთი მილიონი მანათია გადადებული.

— ქ. ლოძში და ახლო-მახლო უბნებში გაძლიერებული დაცვის წესები გამოაცხადეს.

— პეტრაკოვისა და სერდობსკის მაზრებში (პოლონეთში) გლეხთა მოძრაობა დაწყებულა.

— მოსკოვის ქალაქის თავს წინადადება მოსვლია კერძო კაცისაგან, რომ საჭიროა მთელს რუსეთში რვაას მილიონ მანეთზე ხელის მოწერა გაიმართოს და ამ შეგროვილი ფულით სამხედრო ფლოტი აშენდეს რუსეთში წარმომადგენლობითი მთავრობის შემოღების სახსოვრათაო.

— 12 ივნისს ქ. კოვნოში რამდენიმე ათას კაცს დემონსტრაცია მოუხდენია.

— 13 ივნისს საღამოს ათ საათზე ჩენსტოხოვის პოლიციის სამმართველოს წინ ბომბმა გადააგდეს. პოლიციმეის-

ტერი მსუბუქათ დაჭრილია. აფეთქებისაგან 100 საჟენი' მანძილზე სახლებში შუშები ჩაილეწა.

— სლავიანსკიდან იუწყებიან, რომ გოლანდიის საზოგადოების სამარილე მადაროებში ყველგან გაიფიცენ მუშებიო.

— ივანოვო-ვოზნესენკში მუშების ამოჟლეტის შემდეგ ცხოვრება სულ გამოიცვალა: მცხოვრებნი გარბიან, ვინც დარჩა, სახლში ჩაიკეტა და გარეთ იშვიათად გამოდის. ყოველ-დღე აუარებელ ხალხს აპატიმრებენ. პოლიციელები ისე დაშინდენ, რომ მთელ ჯგუფებით გადიან სამსახურადან. მუშები ყოველ დღე რამდენსამე პოლიციელს კლავენ. გაფიცულია 50 ათასზე მეტი მუშა. ცხოვრება ძალიან გაუჭირდათ, მაგრამ იმის შემდეგ, რაც მრავალი ამხანაგი დაუხოცეს, მუშაობის დაწყებაზე ლაპარაკიც არ უნდათ. ვაჭრობა შედგა, ცხოვრება მოდუნდა, (რ. ვ.).

— ვილნაში, 15 ივნისს ვილაც უცნობმა ბოროტ მომქმედმა მოკლა გოროდოვოი, მეორემ დაჭრა მეორე გოროდოვოი. დაჭრილია აგრეთვე ერთი გამვლელთაგანი. ერთი ბოროტმომქმედი შეიპყრეს. სხვებს დაეძებენ.

— ქ. ნიკოლაევში, 15 ივნისს, სოპოროს ქუჩაზე ასაფეთქი ყუმბარა ესროლეს პოლიცმეისტერ ივანოვს, რომელსაც კაზაკები ახლდენ. დაშავდა 4 კაცი. ყუმბარა ისროლა მუშა საფონოვმა, რომელიც შეიპყრეს.

— ვიაზნიკში 16 ივნისს გაიფიცენ მქსოველები, რიცხვით 700 კაცი. გაფიცულები სამუშაო ქირის მომატებას მოითხოვენ.

— ამავე დღეს პეტერბურგში გავანის ქუჩაზე მოკლეს საპოლიციო უბნის ზედამხედველი კოვოლინი.

— გაზეთ ,,რუსსკოე სლოვოს'' ,,მავნე მიმართულებისათვის'' პირველი გაფრთხილება გამოუცხადეს და ცალკე ნომრების გაყიდვა აუკრძალეს. ასეთი განკარგულება მთავრობის მხრით გამოიწვია შემდეგმა წერილებმა: ,,კავშირთა კავშირი'' და ,,დამშვიდება და ცემა-ტყეპა''. ეს წერილები დაბეჭდილი იყო გაზეთის 128, 150, 153 ნომრებში.

— 16 ივნისს მუშათა გაფიცვები დაიწყო სოსნოვიცში და დომბროვოში.

შინაური მიმოხილვა

იყო დრო, როცა ჩვენში სათავად-აზნაურო საქმეები იქცევდენ საზოგადოების და პრესსის უმთავრეს ყურადღებას, როცა სათავად-აზნაურო ბანკები და სკოლები მთელი ქართველი ხალხის საქმეთ იყო გამოცხადებული. ეს დრო სამუდამოთ გაქრა. მართალია ძველ ტრადიციას ასე ადვილათ ვერ გამოეთხოვება საზოგადოება, მართალია ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ერთი ნაწილი („ივერია", „ცნობის ფურცელი") კიდევ შორიდან ეალერსება თავად-აზნაურთა საქმეებს, მაგრამ თავად-აზნაურების ინტერესებს მთელი ქართველი ხალხის ინტერესებათ ველარ სახავენ, როგორც ეს მას ჟამსა შინა იყო. მართალია ისიც, რომ სათავად-აზნაურო ბანკები (განსაკუთრებით თბილისის) დღესაც საკმარის და მეტათ საინტერესო მასალას იძლევა ზოგიერთ ოდესმე ქებულ საზოგადო მოღვაწეთა დასახასიათებლათ, მაგრამ ეს დღეს საინტერესო აღარ არის საზოგადოებისათვის. რასაკვირველია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ხმა არ ამოვიღოთ იქ, სადაც თავად აზნაურთა ინტერესები მთელი თავისი სიმწვავით სხვა წოდების ინტერესებს ეჯახებიან, როცა თავად-აზნაურთა მოქმედება იმათ მიერ გაჩანაგებულ გლეხობას აოხრებას და განადგურებას უქადის.

ასეთი არის, მაგ., თავად-აზნაურთა «შავი რაზმის», ანუ როგორც მას უწოდებენ «დრუჟინის» დაარსება გორის მაზრაში, რის შესახებ ჩვენ გაზეთში რამდენიმე წერილი იყო დაბეჭდილი ერთ იმათგანში, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ ხსენებული «დრუჟინის» კომიტეტის წევრებათ ირიცხებიან ალ. ყიფშიძე და ნ. ცხვედაძეო. ბ-ნ ალ. ყიფშიძის ფიზიონომია და მისი ამ საქმეში მონაწილეობა უკვე საკმარისათ გამოირკვა. რაც შეეხება ბ-ნ ცხვედაძეს, ეს ჯერ კიდევ საორჭოფო საქმეა, და აი რათა.

«მოგზაურის» მე-22 ნომერში ბ-ნ ნ. ცხვედაძის წერილია დასტამბული, რომელშიაც ავტორი გადაჭრით გვეუბნება, რომ «იგი არც არის და მას არც შეეძლო ყოფილიყო წევრათ თავად-აზნაურთა დრუჟინის კომიტეტისა, რადგანაც მაგგვარი ზომა მშვიდობიანობის ჩამოსაგდებლათ არ ეთანხმება ჩემს შეხედულებას და ხასიათსო». ვგონებ, ეს სიტყვები საკმარისი იყო, მკითხველი დარწმუნებულიყო იმაში, რომ ბ-ნი ცხვედაძე თავად-აზნაურთა „დრუჟინის" კომიტეტის წევრი არ არის. მაგრამ ბ-ნმა ნ. ცხვედაძემ ეს განცხადება საკმარისათ არ იცნო. შემდეგ იგი მოგვიყვება იმის შესახებ, თუ მას როგორ აწუხებს «ის აზრი, რომ ჩვენში მრავალნი არიან, როგორც გლეხთა შორის, ისე თავად-აზნაურებშიაც, უმამულონი და მცირე მამულიანი, და იმავე დროს კი უცხო ხალხნი ყოველივე ღონეს ხმარობენ სამუდამოთ დასახლდენ ჩვენი მამა-პაპის სისხლით მორწყულს მიწა-წყალზეო». ამიტომ, როდესაც რამდენიმე ქართველს სურვილი გამოუცხადებია შეედგინათ ქართველთა საზოგადოება ურთიერთ დახმარებისა, მასაც მიუღია მონაწილეობა ამ საზოგადოების შედგენაში და წესდების დაწერაში. ასეთმა განმარტებამ ჩვენში ეჭვი გამოიწვია ბ-ნ ცხვედაძის კატეგორიულ განცხადებაში, რომ იგი არ არის და მას არც შეეძლო ყოფილიყო, ,,დრუჟინის'' კომიტეტის წევრი. მართლაც, რისთვის მოუნდა ბ-ნ ცხვედაძეს აქ ,,ქართველთა ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოების დაარსებაზე ლაპარაკის ჩამოგდება? მას ამტყუნებდენ იმაში, რომ იგი ,,დრუჟინის" კომიტეტის წევრიაო! ის კი გამოსულა და გაიძახის, რომ მე კომიტეტის წევრი არა ვარ, მე მხოლოთ ქართველთა ურთიერთ დახმარების საზოგადოების დრუჟინაში მივიღე მონაწილეობაო! მაგრამ ჩვენ რა ხელი გვაქვს, ბ-ნი ცხვედაძე რა და რა საზოგადოებაში ღებულობს მონაწილეობას და ან რომელი საზოგადოებისთვის წერს წესდებებს! მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ბ-მა ცხვედაძემ ,,ურთიერთ დახმარების'' საზოგადოებაზე ჩამოაგდო აქ ლაპარაკი. საქმე ის არის, რომ სწორეთ ეს ,,ურთიერთ დახმარების'' საზოგადოებაა თავად-აზნაურთა შავი რაზმის დასაწყისი, მისი სათავე! ხსენებულ რაზმს ბ-ნ ცხვედაძის მონაწილეობით შედგენილი წესდება უჭირავს ხელში და იგი ურთიერთ დახმარების საზოგადოებათ რაცხს თავის თავს. ამას შემდეგ რაღა გასაკვირალია, რომ ბ-ნ ცხვედაძის შესახებ ხმები იყო გავრცელებული, რომ იგი ,,დრუჟინის'' კომიტეტის წევრათ ითვლებაო. შეიძლება ფორმალურათ, ბ-ნი ცხვედაძე ,,დრუჟინის'' კომიტეტის წევრათ არ ირიცხება დღეს, მაგრამ ამიერიდან ყველასთვის აშკარა უნდა იყოს, რომ ბ-ნი ცხვედაძე, ეს საქართველოს ერთი ბურჯთაგანი, ხსენებული დრუჟინის ერთი სულის ჩამდგმელთაგანია. უმამულოებზე და მცირე მამულიანებზე ლაპარაკი მხოლოთ საქმის გადაფუჩეჩებაა, სიტყვის ბანზე აგდება და მეტი არაფერი.

ამას წინეთ ერთი საინტერესო ამბავი მოხდა, რომელიც სავსებით მხოლოთ გაზ. ,,ივერიის'' ფურცლებზე იქნა აღბეჭდილი. ჩვენ მოგახსენებთ ქართველების და მაჰმადიანების კრებაზე, რომელიც 11 ივნისს მოხდა ქ. თფილისში. ვინ არი-

ან ეს ქართველები და ეს მაჰმადიანები! ვისი სახელით მოქმედებენ და წერენ ისინი პეტიციებს? კრებაზე იყვენ სხვათა შორის თ-დი ი. ჭავჭავაძე, გაზ. „კასპის“ რედაქტორი თობჩიბაშევი, ი. ზურაბაშვილი, ხარლამპი ღლონტი და ექიმი გედევანიშვილი. კრების მიზანი ყოფილა მაჰმადიანების და ქართველების პეტიციების განხილვა და საერთო შეთანხმებული მოქმედების გეგმის შემუშავება. თუმც კრებაზე გამორკვეულა, რომ „მაჰმადიანების და ქართველების უფლებრივი შეხედულება თვალსაჩინოთ განსხვავდება ერთი მეორისაგან“, მაგრამ კრების აზრით ეს გარემოება ხელს არ შეუშლის მაჰმადიანების და ქართველების შეთანხმებულ მოქმედებას. „ექ. გედევანოვმა, ხარლამპი ღლონტმა, ივ. ზურაბიშვილმა და სხვებმა კრებაში ის აზრი გამოთქვეს, რომ პეტიციები პრინციპიალურათ, ძალიან განსხვავდებიან ერთი ერთმანერთისაგან, მაგრამ განსხვავება ხელს არ შეუშლის შეერთებასა და სოლიდარობას, თუ მაჰმადიანებიც ტერიტორიალურ-ეროვნულს ავტონომიის ნიადაგზე დადგებიან და ჩვენსავით ავტონომიას მოითხოვენ“ (ხაზს ჩვენ ვუსვამთ). როგორც ხედავთ, ჩვენი ავტონომისტები მეტათ ახირებული ხალხია. ისინი ყოველგვარ ცოდვას გაპატიებენ, ოღონდ ტერიტორიულ-ეროვნული ავტონომიის ნიადაგზე კი დადექით. ჩვენი ქართველი ავტონომისტები მზათ არიან ხალხს უღალატონ, გაყიდონ ის, ოღონდ ტერიტორიულ-ეროვნული პრინციპი ნუ შეილახება. ისინი დახმარებას უწევენ მაჰმადიანების თავისივე მსგავს ბურჟუა-ავტონომისტებს თავის ხალხის დაჩაგვრაში, ე. ი. ქონებრივი ცენზის და წოდებრივ უფლება-უპირატესობის შენახვაში, ოღონდ კი მაჰმადიანებმა ქართველ ავტონომისტებს მხარი მიცენ ტერიტორიულ-ეროვნული ავტონომიის განხორციელებაში. აი რა რეზოლიუციას ადგენენ ჩვენი ქებული ავტონომისტები: „ამიერ-კავკასიის ყოველ ეროვნებას უნდა მიეცეს თვით გამორკვევის სრული თავისუფლება. ქართველები მოვალენი იქნებიან მოითხოვონ, რომ ეს უფლება მაჰმადიანებსაც მიეცეს; მაჰმადიანები კიდევ ასეთსავე უფლებას მოითხოვენ ქართველებისათვისო“... როგორც ვიცით, ქართველ ნაციონალისტ - ფედერალისტ - ავტონომისტებმა ქართველ ხალხში დაკარგეს ყოველგვარი ნდობა, ისინი აქ ველარ გრძნობენ ნიადაგს. ამიტომ მათ სხვა საშუალება აღარ დარჩენიათ გარდა იმისა, რომ მაჰმადიანებს მიმართონ დახმარებისათვის. აი რა სარჩული უდევს იმათ დაძმობილებას და დამეგობრებას მაჰმადიანებთან. ასეთ ძმობას და მეგობრობას ისინი წინეთ სომხებთანაც, ანუ უფრო მართალი რომ ვთქვათ სომხების ბურჟუაზიასთან აპირობდენ, მაგრამ მას შემდეგ რაც გამოირკვა, რომ სომხის ბურჟუაზიას ხელს არ მისცემს ტერიტორიულ-ეროვნული ავტონომიის მოთხოვა, იმათ ჩამოეცალენ და ახლა მაჰმადიანებს დაუმეგობრდენ. ჩვენ, რასაკვირველია, არასოდეს არც ვყოფილვართ და არც ვიქნებით იმის წინააღმდეგი, რომ ერთა შორის ძმობა და ერთობა განმტკიცდეს, ჰირქით ჩვენი იდეალი სწორეთ ამ ძმობის და ერობის განმტკიცებაა, როგორც თვით ერში, ისე სხვა და სხვა ერთა შორის, მაგრამ არა იმ გზით, არა იმ ფლიდობის და ურთიერთ დატყუილების საშუალებით, როგორც ჩვენი ავტონომისტები ჩადიან, არამედ მშრომელი ხალხის გათვითცნობიერობით და მისი შეერთებით ყველა მჩაგვრელების წინააღმდეგ საბრძოლველათ.

ქართველ ავტონომისტებს, როგორც მოგეხსენებათ, ქუთაისშიაც აქვთ ბინა. სიყალბეში და ტყუილებში ისინი არაფრით არ ჩამოუვარდებიან თავიანთ თფილისელ ამხანაგებს. თუ თფილისელი ქართველი ავტონომისტები მაჰმადიანებს უძმობილდებიან და იმათგან მოელიან დახმარებას, მათ ქუთათურ ამხანაგებს ცილისწამებით მოუწადინებიაო ფონს გასვლა. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ის მოხსენება, რომელიც შეუდგენია ქუთაისის ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულ კომისიას. ამ მოხსენების [illegible] გარჩევა არ შედის ჩვენ განზრახვაში, და ეს არც საჭიროა. ჩვენ მხოლოთ უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, თუ რა ყალბ გზაზე დამდგარა ქუთაისის ქალაქის საბჭოს კომისია. მოხსენების ავტორები პირდაპირ ამბობენ, რომ თფილისის და ქუთაისის გლეხობა გადაჭრით თხოულობენ ავტონომიასო (გვ. 4). ჩვენ არ ვიცით განზრახ მოუვიდათ ასეთი სიყალბე მოხსენების ავტორებს, თუ უცოდინარობით. რომ გლეხობას არსად ჩვენში ავტონომიაზე სიტყვა არ დაუძრავს (თუ ბ. სიტყვას განცხადებას არ მივიღებთ მხედველობაში) ეს ყველასათვის აშკარაა. მაშ რისთვის დაჭირდათ ავტორებს ასეთი ცილის წამება, ასეთი ტყუილის თქმა? უეჭველია იმიტომ, რომ გავლენა მოეხდინათ ქალაქის საბჭოზე და თავისი წინადადება გაეყვანათ: თავად-აზნაურებთან ერთათ, აი გლეხებიც კი თხოულობენ ავტონომიას და აბა ჩვენ ქალაქის ბურჟუებს, მესაკუთრეებს რაღა გვეთქმის! ჩვენც მათ უნდა შევუერთდეთ. რომ თავად-აზნაურთა კრებამ ავტონომიის შესახებ პეტიციები გაგზავნეს, ეს ყველამ იცის. ყველა უწყის აგრეთვე, თუ როგორ შეხვდა ამას ჩვენი პრესის ის ნაწილი, რომელიც მშრომელი ხალხის ინტერესებს იცავს. როგორ დაავიწყდათ ეს ავტორებს? ან როგორ არ იფიქრეს, რომ იმათი ტყუილი გლეხების შესახებ დაუყონებლივ გამოაშკარავდებოდა? მაგრამ საკვირველი ის არის, რომ მოხსენების ავტორები სრულებით ივიწყებენ იმათ, ვინც საფუძველი ჩაუდვეს დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობას, იმ მოძრაობას, რომელმაც საშუალება მიცა მათ, ასეთ კითხვებზე მსჯელობისა. რათ არ კითხულობენ, რათ არ სურთ გაიგონ იმათი აზრი ავტონომიის შესახებ, ვინც სისხლი დაღვარა იმისათვის, რომ ბატონთ ავტონომისტებსაც კი ასე თამამათ შეუძლიათ დღეს კრებების გამართვა და სიტყვების წარმოთქმა? თუ ქალაქის ხმოსნები ანგარიშს უწევენ თავად-აზნაურობის შეხედულებას, რომელიც დღევანდელ მოძრაობას ათასგვარ დაბრკოლებას უჩენდა და დღესაც უჩენს, რათ არ სურთ გაიგონ იმათი აზრი, ვინც შექმნა დი ვინც თავისი მკერდით ამაგრებს დიდებულ მოძრაობას თავისუფლების მოსაპოვებლათ. ესენი არიან მუშები, ქალაქის პროლეტარიატი, რომლებმაც თავისი მოძრაობა გლეხებშიაც გადაიტანეს. და აი ამათ ივიწყებენ ჩვენი ავტონომისტები. მაგრამ თუ ისინი ივიწყებენ მშრომელ ხალხს, მის ინტერესებს და მის სულის კვეთებას, სამაგიეროთ ცხოვრება დაივიწყებს იმათ ჩხირკედელაობას.

ალ. წულუკიძის ხსოვნას.

ულმობელ ხვედრმა გაგლიჯა სიმნი,
შეწყვიტა ძგერა მამაც გულისა,
უდროოთ დაჭკნა ველზე ყვავილი,
მადიდებელი გაზაფხულისა.
აღარ გვყავს საშა! დადუმდა მკლავი,
მტრის გასაგმირავს აწ ვერ დაგვიწერს,
ხმალივით მჭრელი დადუმდა ენა,
აწ ველარ გვეტყვის მხურვალე სიტყვებს!
თუმცა შეეძლო ტკბილ-მოსვენებით
განეგრძო დღენი თვისი სიცოცხლის
და, ვით ზოგიერთს, ისე იმასაც
ეგემა დღენი ბედნიერ ყოფის,
მარა უარყო ამგვარი ყოფა,

უარყო კერძო ლხენა და შვება,
იწამა მხოლოთ საერთო საქმე,
იწამა მხოლოთ თანასუფლება!
და აღგზნებული ბრძოლის წყურვილით,
თავისუფლების დროშითა ხელში:
ძლიერის სულით, ავათმყოფ გულით
ის გადაეშვა ბრძოლის მორევში...
გვერდში მოუდგა ტანჯულთა მოძმეთ,
უჩვენა იმათ გზა ხსნის და შვების,
გამოიყვანა ბრძოლისა ველზე
მოსასპობელათ სინათლის მტრების...
და მაშინ, როცა მისმა ნათესმა
უკვე მოიღო წმინდა ნაყოფი,
როს სისხლის მსმელი მტერი მარცხდება,
უკვე ინგრევა მისი სამყოფი;,
როს განთიადმა თავისუფლების
სხივი შეგვტყორცნა, მოგვეალერსა,
ტანჯულმა ხალხმა გამოიღვიძა,
მტარვალთ დამწველი ცეცხლი დაჭკვესა;
როს მედგარ ბრძოლის ამგვარ ნაყოფით
იმას ნატრობდა აღტაცებული,
რომ დასწრებოდა სრულ გამარჯვებას,
ენახა მტერი დამარცხებული,—
ოხ, მაშინ... მაშინ ულმობელ სენმა
აღარ აცალა, დაუგო მახე,
ჩამოაშორა ბრძოლისა ველსა,
მოგვტაცა მისი ძვირფასი სახე.
ის მოკვდა. მარა განა მკვდარია?
მისებრ მებრძოლი არა, არ კვდება,
მისი სახელი სამარადისოთ
ტანჯულთა მკერდზე აღიბეჭდება;
ამათ მკერდზედა, ოფლიან მკერდზე,
ვისთვის იღწოდა დაუღალავათ,
ვინც გაიხადა საგნათ სიცოცხლის,
ვისთვის სიკვდილიც მიაჩნდა არათ!...

კ. გოგოლაძე.

ფელეტონი

I

„მოთმინებითა შენითა მოიპოე სული შენი.“

31 მაისი ქართლ-კახეთის თეთრი სამღვდელოების ისტორიაში ფრიად დიდ-მნიშვნელოვანი დღეა. ამ დღეს სულიერმა მამებმაც განიცადეს ერთხელ ის, რასაც რუსეთის მუშა და მოქალაქე დიდი ხანია ითმენს. მოთმინების მქადაგებლებმაც იგემეს სიტკბოება თვითნებობისა.

საზოგადოება თანაუგრძნობს მათ, ხოლო მოხელენი სიბრალულის ცრემლებსა ღვრიან. ქუთაისის ქალაქის საბჭოც ულრმეს სამძიმარს უცხადებს გვემულ მოძღვრებს და ისიც ტელეგრამით. „ივერიის ეკლესიის მსახურთ ასეთი შეურაცხყოფა არ დაუმსახურებიათო“ აღნიშნავენ საბჭოს წევრები. თბილისის საბჭოც ძლიერ ააღელვა ამ არა ჩვეულებრივმა, მოულოდნელმა მოვლენამ და შეურაცხყოფილთ უმძიმესი სამძიმარი გამოუცხადეს. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ მეც, (როგორც **ეშმაკი**) ძლიერ ამაღელვა ამ შემთხვევამ. რას ერჩოდენ მღვდლებს ის უგნურები! ნეტა იცოდენ ვის ცემდენ? მარა ეხლა ისეთი დროა, რომ ძაღლი პატრონს ველარ არჩევს. ჩემი ულრმესი მწუხარებაც შეიწირეთ უდანაშაულნო მსხვერპლნო! მაგრამ ნუ დაივიწყებთ კი რომ მხოლოთ „მოთმინებითა თქვენითა მოიპოებთ სულთა თქვენთა“.

II

„ნახლებნიკები“

გაზეთი «ივერია», როგორც მკითხველებს მოეხსენება, რუსულ გაზეთ «ნაშა ჟიზნს» (ჩვენი ცხოვრება) „ნახლებნიკათ“ დაუდგა. დაუდგა ნახლებნიკათ და რაც შეუძლია აქართულებს (ანუ სახოკიას ქართულით სადუნს უშვება) სხვა და სხვა ავტორების წერილებს. ხათაბალა ისაა, რომ ავტორთა გვარების ქართულათ «გადმოსადუნება» (გადმოთარგმნა) არ ხერხდება, რომ წერილი საკუთარ ნაწარმოებათ გაასაღოს. მაგალითათ როგორ გინდა გადმოასადუნო «ევგ. ტრუბეცკოი.» ვსთქვათ ევგენი მიღაძე, ან ევგენი ლულაძე? საუბედუროთ ეს არა ხერხდება და მკითხველს კიდევ ეძლევა საშვალება გვარის მიხედვით გაიგოს, რომ წერილი გადმოსადუნებულია, მაგრამ საიდან არის ნათარგმნი, თუ შორს მჭვრეტელი არა ხარ ხშირათ ვერც კი მიხვდები.

პირდაპირი «ნახლებნიკობა» კიდევ არაფერია, მაგრამ «მხრჩობლ-სხმით-გარდასვლითი» ნახლებნიკობა, პირველი გაგონებაა. საქმე იმაშია, რომ გაზეთ «ივერიას» თავისი ნახლებნიკი გაუჩენია, სახელდობრ რუსული გაზეთი «კავკაზსკი კრაი» როტმისტრი ესაძის რედაქტორობით. ეს უკანასკნელი, დასჯდომია «ივერიის» გასივებულ ტანს და წურბელასავით სწოვს იქიდან წამხდარ, გაფუჭებულ სისხლს. «ივერიას» ხომ ბევრი აქვს ასეთი დაბეჟილი ალაგები! „კავკაზსკი კრაიც“ სწორეთ იქ დაჭკვრია, იქ დასწაფებია და სწოვს და სწოვს. პირველ ყოვლისა ის დაჯდა იმ უზარ-მაზარ მუწუკს «ივერიისას», რომელსაც «ნუ-თუ?» ეწოდება და რომელიც ილია ჭავჭავაძის შემოქმედობითი ნიჭმა აღმოაცენა. აგერ რამდენი ხანია სწუწნის ის ამ სიმყრალეს და იმედია კიდევ დიდხანს ეყოფა. კამპანიას გაუმარჯოს! ისიამოვნეთ ყმაწვილებო, ისიამოვნეთ!

მაგრამ აი ჯერ ეს პირველი სიზრდო არ გამოუწოვია, რომ მეორე დაინახა; მეორე მაგრამ უფრო მყრალი, უფრო დამპალი, და მაშასადამე მისთვის უფრო გემრიელი მუწუკი და დაეწაფა, თავდავიწყებით დაეწაფა!

«რა იყო ეს ახალი ულუფაო» იკითხოთ იქნება. ის იყო იერიში «ივერიის» ბურჟუებისა, «მშაკის» ბურჟუებზე მიტანილი, რომელსაც სახელათ ეწოდება: «მადაც ასეთი უნდა.» ეს ისეთი საყვარელი ულუფაა «კავკაზსკი კრაის» ხელმძღვანელისათვის, რომ ერთის დაწაფებით ამოსწუწნა ის და ამოსწუწნა კიდევ მეორე მის მაგვარი მუწუკი «ივერიის» კეთროვან ტანზე. მადა დიდი აქვს «ივერიის» ნახლებნიკს, მარა ჯერ ის მხოლოთ «ივერიის» საკუთარსა და წამხდარ სისხლსა სწოვს, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ როტმისტრის განცხადებას: „ჩემი როგანო «ივერიას» ბუქსირით გაჰყვებაო“, ადვილათ მივალთ იმ დასკვნამდე რომ ხსენებული ორგანო „ივერიიდან“ რუსულათ გადაასადუნებს იმ წერილებს, რომლებიც „ივერიამ“ „ნაშა ჟიზნიდან“ ქართულზე გადმოასადუნა და აი მაშინ გამოვა ნამდვილი „მხრჩობლ-სხმით გარდასვლითი“ ნახლებნიკობა.

III

ნეტავი კარიკატურისტი ვიყო!

რამდენჯერ მინატრია: «ნეტავი კარგი კარიკატურისტი ვიყო-მეთქი!» და რომ მართლა კარიკატურისტი ვიყო, პირველ ყოვლისა დავხატავდი ერთ ქართველ კაპიტალისტს ანუ ფულების პატრონ კაცს. როგორც მიღებულია კაპიტალისტის ხატვა, მეც ულზომო სივრცის მუცელს გავუკეთებდი მას. აი, ახლაც თვალ-წინ მიდგას ასეთი სურათი, მარა ხათაბალა ისაა, რომ ქაღალდზე დახატვის უნარი არა მაქვს, ანუ მდაბიოთ რომ ვსთქვა შმერლინგი არა ვარ.

კარიკატურისტის ხელოვნება, ჩემი აზრით, იმაში მდგომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობს, რომ ადამიანი ცოტა დააფიქროს თავისს ნახატზე, ე. ი. ერთი შეხედვით არ გააგებიოს კარიკატურის მნიშვნელობა, მარა ამასთანავე საიდუმლოების ხელოვნება არც იმ ზომამდე უნდა გავავითაროთ, რომ სურათის აზრი სულაც ვერავინ გაიგოს. აი, სწორეთ ამ მოსაზრებით, მე არ დავაწერ ჩემს კაპიტალისტს: «ეს არის ზუბალოვი მეთქი». არ დავაწერ, ვინაიდან ეს თითონ მკითხველმა უნდა გამოიცნოს სურათის სხვა მორთულობის მიხედვით. ამ გვარათ, თქვენს წინაშე გამოხატულია დიდ მუცლიანი კაცი, რომლის ვინაობა ჯერ-ჯერობით არ იცით, მარა მოყვანილობის მიხედვით ატყობთ, რომ უეჭველათ კაპიტალისტი უნდა იყოს.

აქ საჭიროა მცირეოდენი განმარტება: უნდა იცოდეთ, რომ მუცლის სიდიდე კარგი ჭამა-სმის ნაყოფია და სრულიადაც არ მოასწავებს, ვითომც კაპიტალისტს თავისი სიმდიდრე, ფულების სახით, მუცელში ქონდეს მოთავსებული. ეს ისეთი შეცდომა იქნებოდა, როგორიც აფრიკელი ნეგრების აზრია, ვითომც ყველა დიდ მუცლიანი კაცი უთუოთ დიდი ჭკუის პატრონიც არისო. ცხადია, რომ თავისი აურაცხელი სიმდიდრე, არც ერთ კაპიტალისტს არ ჩაეტევა საკუთარ სტომაქში, რაც უნდა ბჭე-განიერი იყოს ეს უკანასკნელი.

ჩემს სურათს მაღალ სავარძელში ჩავასკუპებდი, როგორც ასეთ პიროვნებას შეფერის და მარცხენა ხელს თეძოზე (ჯიბის ახლო) დავაბჯენინებდი. მარჯვენა ჯიბის პირს, საიდანაც ურიცხვი ძაფები ამოდიან, ღიას დავხატავდი. ძაფების ბოლოებზე, რომლებიც შარავანდედივით ყოველ მხრივ მიდიან, მუშებს მოვაბამდი, და ისარის საშუალებით ვაჩვენებდი, რომ კაპიტალისტის სიმდიდრე სწორეთ ამ წყაროებიდან გამოდიან და აქ ღია ჯიბეში იყრიან თავს მეთქი. მუშები სადღაც შორს უნდა გამოიხატოს და ძაფები ისე გაიბას, როგორც ტელეგრაფის მართულია გაბმული, მარა იმ განსხვავებით, რომ ხის ბოძების ნაცვლათ კაცები იდგენ ზედ წარწერით: «მოურავები». ამასთანავე ძაფის წვერი თითოეული მოურავის ერთ ჯიბეში უნდა შედიოდეს და მეორიდან გამოდიოდეს, რასაკვირველია შემოსავალ-გასავლის განსხვავებით.

სავარძლის ირგვლივ უნდა დაასურათო მრავალი მატლები ანუ ჭიები, რომლებიც მარცხენა მუხლზე ახოხებას ცდილობენ. მატლების ვინაობა ისეთი საიდუმლოება იქნება, რომ ვერავინ ვერ გამოიცნობს და ამისათვის საჭიროა მათთვის წარწერა რამ. აი ერთი დიდი ჭია ზედ ჯიბის კიდეზე მიცოცებულა და ცბიერი თავი კიდევაც ჩაუყვია შიგ. კუდზე ამ მატლს განცხადება ჰკიდია: «ივერიის რედაქცია» და წელზე კაკარდა აკრავს «პოლიტიკური ეკონომიის ექიმი». კუდის ქნევა არ შეიძლება გამოიხატოს, თორემ იმისი განცხრომა ყველასათვის თვალსაჩინო იქნებოდა. ქვევით, მეორე მატლი, ჭრელი პაგონებით, ახლა შესდგომია მუხლს და ჯერ შვამდე არ არის ახოხებული. ზურგზე მას «კავკაზსკი კრაი» აწერია. ეშმაკურ თვალებზე ეტყობა, რომ ჩქარა ჯიბეში მოიკალათებს. იქვე ახლოს, დამპალი ჯიკვიდან თავი გამოუყვია კარგა მოზრდილ მუხლუხას, რომელსაც აწერია «ზაკავკაზიე.» ეს ჯერ ფულ-ოროდანაც არ გამომძვრალა, მარა იმედი დიდი აქვს. ზემოთ, საყარძლის თავთან, ყურის პირდაპირ ჭრიჭინა უნდა დაასკუპო და დააწერო «ქართველ კათოლიკეთა ისტორიკოსი». როგორც ჭრიჭინას წესია, ისიც გაჭკივის და გაჭკივის ლუკმის მოლოდინში. ეს მთავარი ტიპებია და ნეტავ ხატვა შემეძლოს, რომ სრულიათ გამოვხატო ქალალდზე სურათის წვრილმანი მოწყობილობა და ერთი ვიცინო.

ეშმაკი.

ჩემი შთაბეჭდილებანი.

ინტელიგენცია.

II.

ადამიანთა საზოგადოება იმავე საერთო კანონს ექვემდებარება, რასაც მთელი ორგანიული—მცენარეთა და პირუტყვთა—სამეფო,—მოძრაობის, წინსვლის, განვითარების კანონს. პატარა რკოში ჩასახულია უზარმაზარი მუხა თავისი ლონიერი ძირითა და ფესვებით მიწის სიღრმეში ჩაფლული, ლაზათიანი, მრავალშტოიანი, ტანით ცის სივრცეში ამართული.—სოციალური კიბის პირველ საფეხურზე მდგომი სადა მარტივი, მრისხანე ბუნების მონა-მორჩილი,—საზოგადოება ატარებს თავის ერთგვარ-ერთფეროვან გულში ელემენტებს დღევანდელის რთული, ვეებერთელა საზოგადოებრივი სხეულისა...

სარჩო-საბადებელის უფრო იოლი საშვალებით, უფრო მოხდენილი განვითარებული საუშაო იარაღით შეძენა—შრომის იმდენათ განაყოფიერება, როცა ორი ხელით ორი კუჭის გაძღომა-დაკმაყოფილება შესაძლო ხდება,—აი ნიადაგი, აი ის დიდი ისტორიული მადლი, რომელმაც დიდი ისტორიული, დიდი ადამის ცოდვა აღმოაცენა! პირველ ყოფილ მარტივი სოციალური ორგანიზმი ამიერიდან გართულდა. ერთგვარ-ერთფეროვანი გაორ-დიდფერ გაორ-დიდგვაროვანდა: ქვევით ფესვები გაუშვა, ზევით ნაზი ყლორტი ისროლა: გაჩნდა ბატონ-პატრონი! დაიბადა მისი მარჩენალი მონა-მორჩილი! ამ უკანასკნელს წილად შავ მიწაში შავი შრომა ხვდა. ულმობელმა ისტორიულმა წკეპლმა იქ მიუჩინა მას ბინა, იქ—სველეთ-ბნელეთში, უბედურუკ-უმადური ფესვების როლი არგუნა! მაღლა—მშრალ და ნათელ, თბილ და სუფთა ჰაერზე ყოფნა—ტკბობა ბატონს დაუტოვა... ქონებასთან ერთათ გონებაც მას შეანარჩუნა. კმაყოფილი, გამაძღარი, ქვევით მიწიერ ზრუნველობიდან განთავისუფლებული, ის ზევით ზეცას შაჰყურებს—ვარსკვლავებს იკვლევს, ვარსკვლავებს ითვლის. თეთრი, ფაქიზი შრომის ტარება, ჭკვიანების ვარჯიშობა—ეს ამ კლასის პრივილეგია. ღვთისა და ბუნების მეტყველება, პოლიტიკა და ხელოვნება—მისი სარბიელია. ესტეტიური და ინტელლექტუალური—ხორციელი და სულიერი კმაყოფილება იმ დიდებულთა საკუთრებაა. ჯერ აქედან კიდევ არ გამოცალკევებულან სულიერი შრომის წარმომადგენელნი, როგორც განსაკუთრებული საზოგადოებრივი ჯგუფი. ჯერ კიდევ არ შეუსუსტებია ნივთიერ ქონებას ბატონის სულიერი მისწრაფებანი. მარტოკა ბატონობით, მარტო სხვისი ცარცვა-გლეჯით, არ კმაყოფილდება. პირველ ხანებში ის საკმაო მხნეობითა და ხალისით მისდევს სწავლა-ცოდნასაც. ამას გვეუბნება ყოველ შემთხვევაში ძველი კლასიური, ვეტადრე ბერძნების, განათლება—მათი ფილოსოფია მეცნიერება.., დიდი, მეტათ დიდი სიბრძნე, დიდი ცოდნა და შორს მხედველობა გამოიჩინეს მაშინდელმა განათლებულმა პირებმა, მარა... ის ვერ შენიშნეს, ვერ დაინახეს, რაც ასე ახლო იყო, რაზედაც ასე მაგრათ ედგათ ფეხნი თვისნი—დაბალი მშრომელი ხალხი. საზოგადოებური ურთიერთობა ყმა-მონათა ეკსპლუატაციის გარეშე ვერც კი წარმოედგინათ!...

რამდენათ, ქვევით, ცხოვრება ვითარდება, იმდენათ იცვლება ნაწილდება მისი ზედა პირიც. ნივთიერი უსწორ-მასწორობა თავისუფალ მოქალაქეთა შორის თანდათან მატულობს. მთელი, თითქმის, სიმდიდრე უმცირესთა ხელში გროვდება, იზდება. ამავე დროს იზდება მათ გულში თავიდანვე თან დაყოლილი ჭკუაც — სიზანტე-სიზარმაცე. ფიზიკური შრომიდან თავისუფალთ, იმათ მეტათ შრომის აღარავითარი

ფორმა არ აინტერესებთ. ამისთვის, სულო ცოდვილო, მოცალებაც არა ა'ვთ, ვინაიდან მთელი თავისი არსებობის ძაფებით ნეტარების ნებივრობის ტბას ეწაფებიან! ერთნი—ტლანქნი, უმეცარნი თავისებურ ტლანქ პირუტყულ გართობას ეძღვიან. წერა-კითხვისა და რაღაც იდეებზე ფიქრისათვის ისინი აბა რათ გაიტეხენ თავიანთ ძვირფას თავებს. მეორენი გონიერნი, ნაზი მასალიდან შექმნილ შეზავებულნი, ქვენაგრძნობებს ზენაგრძნობებით ანელებენ; დაბალ კმაყოფილებაებს მაღალი ესტეტიურ-ინტელექტუალურ მოთხოვნილებაებით აელფერებენ. ხოლო შრომას გადაჩვეულნი ისინი ამა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას სხვას—თითქო ამისთვის განგებ უკვე ჩამოყალიბებულ ჯგუფს—**ინტელიგენციას,** ახვევენ თავზე. ბატონის ეს სულიერი მოთხოვნილებანი ინტელლიგენტებს აბიერიდან ისე უნდა ახსოვდეთ, როგორც არა ინტელიგენტებს—მისი ხორციელი. პირველთა შრომის ნაყოფი ისე ტკბილი და ადვილი მოსანელებელი უნდა იყოს ტვინისთვის, როგორც უკანასკნელია—კუჭისთვის.... ამ მოვლენის დასაწყისს იმავ კლასსიურ საბერძნეთში ვხედავთ, გაგრძელება-განვითარებას ისტორიის შემდეგ ხანებში. საფრანგეთში, მაგალითად, კაუტსკის სიტყვით, ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის პირველ ათ წლებში ვერავის ყურადღებას ვერ მიიქცევდა მოძღვრება, რომელიც გასათუთებულ ბატონ-პატრონის ყინს არ აკმაყოფილებდა, თუ მათ გემოვნებას არ იგუებოდა. ეს ასედაც უნდა ყოფილიყო. ინტელიგენცია, რომლის არსებობა, საზოგადოთ, მის—ინტელიგენტურ, შრომაზეა დამყარებული, ვერ იცოცხლებს, თუ თავისი ნაწარმოები ვერ გაასაღა. საჭიროა, მაშასადამე, ამ ნაწარმოების, როგორც ყოველ გვარი საქონლის, მუშტრის გემოზე მოქარგვა. ეს მუშტარი კი ჯერ თითქმის მარტო უმაღლესი და არა უმაღლესი კარის წარჩინებულთა არისტოკრატიაა. „ხუმარებთან ერთათ ისინი მგოსნებსა და ფილოსოფოსებსაც“ იწკევენ გასართობათ...

მახინჯ ბატონებთან ერთათ მოელო ბოლო ინტელიგენციის დანიშნულების ამ დამახინჯებასაც. გაიზარდა, დასრულწლოვანდა ესათი ძემკვიდრე—პლუტოკრატია. ქისის არისტოკრატიამ ჰკრა თავისი ლონიერი მუჯლუგუნი სისხლის არისტოკრატიას.... გათავისუფლებულ ტახტზე თვითონ შესკუპდა.

ახალმა ბატონმა, რა თქმა უნდა, ყველაფერი ახლათ თავის სახათ და მსგავსათ, მოაწყო და რადგან მისი მსგავსი, მისი ხატი ფული, ოქროა, თავისი შემოქმედებითი კვერთხიც სწორეთ იქითკენ მიმართა, საიდანაც ეს განძი გადმოჩხრიალებს. საქმიანი გამჭრახი ბურჟუა პირველ ყოვლისა წარმოების გარშემო დატრიალდა. სამუდამოთ განდევნა მასში როგორც ცხოვრების სხვა სფერაში—დარჩენილი ძველი პატრიარქალური იდილია. შრომის არგანიზაცია მან შრომის საზოგადოებურ განაწილებაზე დაამკვიდრა, რაიცა უმაღლეს წერტილამდის მიიყვანა. ჯერ ერთის დაკვრით გააშორა **თავი ტანს,** ტვინი ხელს და მით „სამკვიდრო-სასიცოცხლოთ გადაჰკიდა ერთმანერთს“ (მარქსი) ეს ორი, ბუნებით განუყოფელი, ნაწილი ერთის მთელისა. მთელი **ბურთი** ამ მის მიერ შექმნილი უზარმაზარი ქვეყნისა მშრომელთა ამ ორ კატეგორიებზე დაატრიალა. ფიზიკური და გონებრივი შრომა—პროლეტარიატი და ინტელიგენცია, აი ეს ორი კატეგორია. ბურჟუაზიული ინტელიგენცია თავისი შინაარსით, როგორც თვისებით, ისე რაოდენობით, ეს ისეთივე ახალი მოვლენაა, როგორც თვით ბურჟუაზია. პრაქტიკულმა ბატონმა ინტელიგენციასაც თავისი პრაქტიკული სული შთაბერა. ...ათას წლათ დააკუწმაწა, თითოეულს განსაზღვრული გარდუალი ფუნკცია დაუნიშნა. შეიქმნა ინტელიგენტთა მთელი არმია, რომელიც იძულებულია ბაზარზე გამოიტანოს თავისი **თავი,** როგორც პროლეტართა არმიას გამოაქვს თავისი **ხელი.** ამ **თავის** დასამუშავებლათ საჭირო შეიქნა განსაკუთრებული ქარხნები-ფაბრიკები აქედან ეს აუარებელი სამრეწველო და სამეურნეო, სავაჭრო და სახელოსნო სასწავლებლები, სავაჟო და საქალებო, სამთო და საგზო ინსტიტუტები. ეს გიმნაზია—უნივერსიტეტები, სემინარია-აკადემიები, რომელთაგან ერთი... ხალხის კვლასა და ჟლეტას ისწავლის, მეორე ვითომდა—აი ირონია!—მისი სენიდან განკურნებას; ეს მეტყველ ცხოველთა კრეჭას—ძოგნას, ის მიწის ფუყნას, ვაზის ფურჩქნას!...

ამ ქარხნებიდან გამოდიან უმეცრების დარაჯნი მეცნიერნი: რჯულისა და პოლიტიკური ეკონომიის „დასტურნი“, ღვთის-მეტყველნი—ღვთის-მოშიშნი მღვდელნი და მღვდელთ-მთავარნი. წესიერების დამცველი სამხედრო და სამოქალაქო, საერო და სასულიერო ბიუროკრატიაც ხომ ამ ქარხანა-ფაბრიკათა ქმნილებაა!

არ'ია ინტელიგენტთა, არმია მხედართა—აი ის ორი ძალა, რომელიც გამოიწვია სამოქმედოთ დღევანდელმა ბატონ-პატრონმა თავისი ბატონ-პატრონობის განსამტკიცებლათ!...

ინტელიგენცია—ეს ბურჟუაზიის სხეულიდან გამოღებული გვერდი და ამ გვერდიდან დამუშავებული კრებულია. ეს მესაკუთრეთა სხვა და სხვა კლასების და ჯგუფების ძვალის ნახეთქი—მათი სისხლი, მათი ხორცია. აქ აქვს მას გადგმული თავისი არსებობის ფესვები—აქედან გამოდის და აქვე შედის ის თავისი ჩამომავლობით. ნივთიერი დამოკიდებულობა, ჩამომავლობითი ნათესაობა, აი ის ძალა, რომელიც ანდამატივით იზიდავს ინტელიგენციას ბურჟუაზიის სხვა და სხვა კატეგორიებისაკენ. სხვილი და წვრილი მრეწველნი, ბანკირები და ვაჭრები, კეთილშობილნი და არა კეთილშობილნი, მემამულენი—აი ვის უღიმის, ვის უცინის, ვის დაბალ პრაქტიკულ მისწრაფებას იცავს ის ასე გულმოდგინეთ თავისი მაღალი თეორიებით. აი, ამავე დროს, ეს ფაქიზ მოღვაწეთა არმია რატომ ასე პიწკათ ეკიდება ჭუჭყიან-მურიან მუშათა არმიას; რატომ უჭირს-უძნელდება ცხოვრების ზედა ნათელი სართულიდან მის ბნელ ობ-მოკიდებულ სარდაფში ჩახედვა—ჩაჭვრეტა, მეცნიერებით შეიარაღებულს, ყოვლის მცოდნეს—ამ სარდაფის მკვიდრთა სულისა და გულის, ფიქრისა და ენის ცოდნა—მათი კლასსობრივი თვალთა ხედვის ისრის შეგნება შეთვისება. ინტელიგენციის მიერ ნათესავ კლასსებთან თავისი ნათესაობითი კავშირის უფრო თუ უმცრო საგრძნობლათ შეწყვეტა, მათი უარყოფა და სხვა კლასებისადმი მიკედლება,—ეს ეკანასკნელთა შესამჩნევათ გაძლიერების, პირველთა კი დაბერებ-დახავსების მომასწავებელი ნიშანია. წინაალმდეგ შემთხვევაში ჩაგრულთა ბანაკში ინტელიგენტთა ძუნწი წვეთი თუ გადადის; ისიც, ვითარცა მგელი ტყისკენ, უკან-უკან იხედება და წინ ახალ ბინაში, შეგნების მაგიერ ხშირათ დაბნევა-შეცდომა გადააქვს.

„კლასობრივი თანამშრომლობა“, შეურიგებელ და დანამოსისხლე მტერთა მორიგება, წყლისა და ზეთის შეერთება,—აი ამ წვეთის საქციველი, უმეტეს ნაწილათ, აი მისი ბუნებრივი ტენდენცია!...

რა განსხვავებაც უნდა არსებობდეს ინტელიგენციის სხვა და სხვა გუნდთა შორის, არის ერთი, ყველა მისი ნერვების შემაერთებელი დამახასიათებელი თვისება. ეს არის გონებრივი შრომა მასთან შეკავშირებული უპირატესობა უაღრესობით. არც ერთი ინტელიგენტი, თუ გინდ, მაგალითად, სოფლის მასწავლებელი, რომლის თვიური შემოსავალი რუსეთში არ ასცილდება ხშირათ 12—18 მანეთს,—არ გასცვლის თავის ხელობას ბევრათ უფრო ხელსაყრელს, მარა ფერის გადამკვ-

რელ მეჭვარტლიან პროფესიაზე. პირ იქით თითოეული, ბედნიერი შემთხვევით „გაინტელიგენტებული“ მუშა მზათაა თავისი ჯაფიანი და ასე მცირე სარფიანი, სულისა და გულის მომწამვლელი არე წყევითა და კრულვით მიატოვოს...

ათას სხვა ისტორიულ უმაკურებასთან ერთათ პროლეტარიატი გააუქმებს ინტელიგენციასაც, როგორც განსაკუთრებულ საზოგადოებრივ კრებულს—თუ გნებავსთ, წოდებას, მრავალი მონოპოლ-პრივილეგიებით მოკმაზულს. პროლეტარიატი ბოლოს დაიბრუნებს თავისი ღონიერი ჯავშნიანი ხელით **თავს,** რომელიც მას ცივი ისტორიის ცივმა ხმალმა მოსწყვიტა!...

—ლია.

ᲤᲝᲗᲨᲘ ᲒᲣᲠᲣᲚ ᲓᲐ ᲛᲔᲒᲠᲔᲚ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘ ᲣᲗᲐᲜᲮᲛᲝᲔᲑᲐ.

„ცნობის ფურცლის“ 2833 ნომერში მოთავსებულია ბ-ნ თ. ედო სახოკიას წერილი შესახებ გურულ და მეგრელ მუშათა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებისა. ბ-ნი თ. სახოკია თხოულობს ბ-ნ ბენია ჩხიკიშვილისგან, საჯაროთ გამოაცხადოს ის პირი, რომელმაც, ბ-ნ ჩხიკვიშვილის აზრით, ხელი შეუწყო გურულ მეგრელთა შეტაკებას (26 მაისს ბათუმში მთავრობის მიერ ნება დართულ საჯარო ყრილობაზე ბ-ნ ჩხიკიშვილმა ამ უთანხმოებას შეეხო და მის მიზეზათ პარიზში ნასწავლი ქართველი დაასახელა)... და დაამტკიც-დაასაბუთოს ის ბრალდება, რომელსაც ბ-ნი ჩხიკიშვილი მას სდებს. ჩვენ აქ არ გვინდა ბ-ნ ჩხიკიშვილს გამოვესარჩლოთ, ჩვენ გვინდა მხოლოთ, რადგანაც ეს ამბავი პრესსაში გადავიდა, საზოგადოებას ვუჩვენოთ თუ რანაირ ნიადაგზე აღმოცენდა გურულ და მეგრელ მუშებ შორის ზემოხსენებული უთანხმოება. ფოთში დიდი ხანია არსებობს მუშათა არტელები, რომლებსაც აქვთ აღებული სამუშაოთ გემებზე საქონლის გადაქვირთ-გადმოქვირთვა.

დიდის ხნიდან ამ არტელებში გურულები მუშაობდენ, ერია და ახლაც არის მეგრელები, მაგრამ მათი რიცხვი მცირეა. კურტნებს ვერ მოვიკიდებთ ზურგზედო, ამბობდენ მეგრელები, და მართლაც მუდმივი მუშობა არტელებში ნაკლებათ შესძლეს. მეგრელი მუშა ვადის შესრულებამდე ვერ რჩებოდა არტელში და ხშირათ სახლში ბრუნდებოდა.

ამნაირათ იყო საქმე, როდესაც დადგა 1905 წელი. ეს წელი მეტათ მძიმე და აუტანელი შეიქნა მეგრელებისთვის. წინა წლის მოუსავლობამ, არეულობებმა, მთავრობის რეპრესიებმა, ეგზეკუციამ დასცა ეკონომიურათ მეგრელი მუშა. სამეგრელოს სოფლებიდან აუარებელი მუშები მოაწყდა ზღვის ნაპირათ მდებარე ქალაქებს, ბათუმს, ფოთს, სუხუმს და სხ. ფოთში მუშათა რიცხვმა ერთი ორათ იმატა, და რადგანაც სამუშაოს არაფერი მომატებია, ამიტომ ბევრი მუშები ულუკმა პურით დარჩა, მუშას კვირაში ორ დღეს თუ შეხვდებოდა მუშაობა, ესეც კაი საქმეა. ამნაირათ მეგრელი მუშა გალატაკებულ სოფელს გაექცა და ქალაქს შეაფარა თავი, მაგრამ ცოტ-ცოტათ იქაც აუტანელი გახდა ცხოვრება, და ის, თუმცა პირველათ ალმაცერათ უყურებდა მუშაობას და არ კადრულობდა, ახლა ორივე ხელებით მოინდომა იქ მუშაობა, რადგანაც სიმშილი კარზე მოადგა. მეგრელ მუშებმა მიმართეს არტელში მომუშავე თვიურებს (უმეტესობა, როგორც ზევით ვთქვით გურულებია), მაგრამ იქ სამუშაო ვერ იშოვეს. ასეთი იყო მდგომარეობა, როცა ამ ჩვეულებრივ მოვლენას არა ჩვეულებრივი ხასიათი მისცეს და აღამაღლეს ხმა „მეგრელობის“ დასაცველათ. ეს არის არამუშები, რომლებიც არავითარ საშუალების წინ არ ჩერდებიან ოღონდ მათი შემწეობით ფონს გავიდენ და თავის საბოლოო მიზანს მიაღწიონ. მათ შეადგინეს თავისებური „შავი რაზმი“, რომლის წმიდათა წმიდათ შეიქნა „მეგრელობის“ დაცვა ფოთში, ამ «შავისგან» «შავი რაზმს» ხელმძღვანელობენ ფრიად გაფუჭებულნი პირნი, ზნეობით დაცემულნი ადამიანები, რომლებსაც არასოდეს არ უფიქრნიათ მოძმის კეთილდღეობაზე, მოყვასის ბედნიერებაზე, და რომელნიც რა წამს გინდათ მზათ არიან ორ გროშათ გაყიდონ თავისი «მეგრელობა». აი რა ჯურის ხალხი ამოუდგა გვერდში მეგრელ მუშებს, აი რა გზაზე აყენებენ სინიდისზე ხელაღებული პირები განუვითარებელ მუშებს. აქაოდა, თქვენ მეგრელები ხართ, როგორ თუ გურულებმა სამუშაო არ მოგცეს, როგორ თუ გურულებმა ფოთი მოგტაცეს, თქვენი სამშობლო, დედა ქალაქიო. არიქა თავს ვუშველოთ, ჰკა მაგასო. მოსალოდნელი იყო, რომ აღელვებული მეგრელები თავს დაეცემოდენ მომუშავე გურულებს და დაიწყებოდა ისეთი ქლეტა და ხოცვა, რომ ბაქოს საშინელება მასთან მონაგონიდა იქნებოდა. «შავი რაზმი» ადრედანვე დიდ მზადებაში იყო. ქალაქის მცხოვრებლები ნამეტანი დაშინდენ, დაღამების შემდეგ ვერავინ ბედავდა ქუჩაში გამოსვლას. ბოლო დროს ფოთის მცხოვრებლებმა თხოვნით მიმართეს ქალაქის გამგეობას და დახმარება თხოვეს აბობოქრებულ მუშების დაწყნარება-დამშვიდებაში. მიმართეს აგრეთვე ზოგიერთ კერძო პირთ დახმარება აღმოეჩინათ.

აქ საჭიროა, ყურადღება შემდეგ საგანს მივაქციოთ. დიდი ხანი არ არის, რაც მუშათა მოძრაობა ფოთში დაიწყო. პირველათ მოძრაობამ თავი იჩინა გურულებში და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ხშირმა პროპაგანდამ და აგიტაციამ ხელი შეუწყო პარტიულ ორგანიზაციის შექმნას, რომელშიაც იღებდა მონაწილეობას მეგრელებიც. ზოგიერთ პირებმა თავისი თავგანწირული მოქმედებით დიდი გავლენა მოიპოვეს მუშებში. აი ამ პირთ თხოვეს დახმარება მუშების დამშვიდებაში და კიდევაც ამ მიზნით დაინიშნა კრება. კრებაზე მოწვეულ იქნა: მეგრელ-გურულ მუშების წარმომადგენლები, და ზოგიერთი საპატიო პირნი. მეგრელ მუშებმა შემდეგი მოთხოვნა წამოაყენეს: ვინაიდგან გურულებს ორივე საზოგადოება (რუსსიის და რუსის) გემები ხელში აქვთ, ჩვენ კი ორი მაზრის ხალხს (სენაკის და ზუგდიდის) არც ერთი, ნოვითხოვთ ერთი საზოგადოების დათმობასო. კრებამ შეუძლებლათ ნახა ორას-სამასი კაცი გურულების სამუშაოს წართმევა, ვინაიდან პირველათ ამ გურულებმა დიდი გაჭირვება განიცადეს გაფიცვების დროს, და მერმეთ გურულების დათხოვნას იგივე შედეგი მოყვებოდა, რასაც ახლა ვებრძოდით, ე. ი. მუშის ულუკმა-პურათ დარჩენა. კრებამ შემდეგი დაადგინა: მიეღოთ არტელებში არამომუშავე მეგრელები. რამდენათ ეს შესაძლებელი იქნებოდა, ხოლო ულუკმა-პურათ დაჩენილ მუშებისთვის მუშების ადგილობრივ ორგანიზაციის მატერიალური დახმარება აღმოეჩინა. ამაზე ზოგიერთებმა მაშინ პროტესტი განაცხადეს, მაგრამ საზოგადოთ მუშები ამნაირ მორიგების თანახმა ხდებოდნენ. ვფიქრობდით, ჩამოვარდნილი უთანხმოება გაქრება, აი, ბოლოს მაინც მუშებმა შეიგნეს თავისი საერთო ინტერესები და მთავრობას არ აგრძნობინებენ სიამოვნებასაო, მაგრამ დახეთ უბედურებას, ბედი თურმე გვცდიდა. შეგვატყობინეს, მეგრელ მუშებს ხელახლა სურს მოლაპარაკებაო. სიამოვნებით დავთანხმდით და კრებაზედაც წავედით. კრებას დაესწრენ ზოგიერთი გურული და მეგრელი მუშები და ინტელიგენტები, მათ შორის ეგრეთ წოდებული «ავტონომისტები». ამ ვაჟბატონებმა დიდი რიხით გახსნეს კრება და გამოაცხადეს უკმაყოფილება შესახებ გურულ და მეგრელ მუშებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებისა. სამარცხვინოა ამ «ერთობის» დროში შინაური აყალ-მა-

ყალიო, ბრძანა ერთმა. უბრალ., რამეებისთვის ამხედრება არა ღირსო. ხოლო არსებული კითხვის შესახებ აი რა გვასწავლა: რაც შეეხება აქ (ფოთში) სამუშაოს, ეს მეგრელების ხელში უნდა იყოსო. ამას გვასწავლის მეცნიერებაო. აქ მუშაობაზე ადგილობრივი უფლება მეგრელებს აქვს და არა გურულებსო, ვინაიდან მეგრელები ფოთთან უფრო ახლო არიან; ვიდრე სხვები, მაგ. გურულებიო.

როგორც ხედავთ, „ბრძენ ავტონომისტმა“ „ბრძნული თეორია“ შეადგინა, მუშების უაზრო მისწრაფებას მეცნიერული (!!) ნიადაგი მოუპოვა და მართლაც ახლა შეუგნებელმა მუშებმა ეს „ადგილობრივი უფლება“ ხელზე დაიხვიეს და თავის ბნელი სურვილების განხორციელებას უფრო მედგრათ შეუდგნენ. ფოთი, ქვალონი და ჭალადიდი (სამეგრელოს დაბებია) ჩვენია, არ ვნახოთ თვალით გურულებიო, გაიძახიან ისინი. ასეთია მდგომარეობა ჯერჯერობით, მომავალში ვნახოთ, რა იქნება.

აშკარაა, უთანხმოების ჩაქრობას გარეშე პირებმა არამც თუ ხელი შეუწყვეს, როგორც ამას მოგვითხრობს ბ. სახოკია, პირიქით ძალზე გაამწვავეს თავისი „მეცნიერული“ დასაბუთებით. ეს ერთი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ მეორე სამარცხვინო საქციელი ბ «ავტონომისტებისა». ფოთში ჩამოვიდენ თუ არა თავისებურათ დატრიალდენ: დახეთ, სოც.-დემოკრატული მოძრაობას მუშებში ფეხი გაუდგამს, არიქა ძირშივე მოვსპოთო და მართლაც თავის ჭლანის ასრულებას ენერგიით შეუდგნენ: არ ზოგავენ არც ტყუილებს არც საზიზღარ ცილის წამებას, ოღონდ სოც.-დემოკრატიას სახელი გაუტეხონ ხალხში. უსირცხვილოთ ავრცელებენ ხმებს, ვითომდაც სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციის მეთაურებია გურულ და მეგრელ მუშებ შორის არსებული უთანხმოების მიზეზი და ვითომ ისინი კერძო ინტერესების მიხედვით გურულებს დებულობენ, ხოლო მეგრელებს არა.

თესეთ, რაც გენებებათ, ავრცელეთ. მუშაკი და საქმის მწყურვალი ადამიანი-კი ყურს არ გათხოვებს, მას მუდამ ახსოვს ბრძნის სიტყვები: segui il tuo corso, e lascia dir le genti.

ფოთი 6 ივნისი.

XX.

საფრანგეთის ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში.

(შემდეგი *)

პროლეტარიატი ენდო მთავრობის დაპირებას, ბურჟუაზიული დემოკრატიის აღთქმას, მის პატიოსნებას, მარა მოტყუვდა. ყველამ ამათ ის მხოლოთ იარაღათ მოიხმარეს თავისი ბატონობის გასაიდეებლათ და შემდეგ გამოწოვილი ლიმონივით შორს გადაისროლეს. მაშ ვის უნდა ენდოს პროლეტარიატი? არავის, გარდა თავის თავისა. მუშათა განთავისუფლება უნდა მოხთეს მუშათა მიერ. ილიუზია კლასთა თანამშრომლობისა დაირღვა და სინამდვილე კლასთა ბრძოლის წინ წამოდგა. მუშა ხალხს უცებ ჩამოეხსნა გონების ბადე, უცებ აეხილა დაბრმავებული თვალები, უცებ იგრძნო თავის თავი მარტოთ, უმწეოთ, უორგანიზაციოთ, ყველას მიერ მიტოვებული, მოტყუებული და აღდგა, განრისხდა და ომის ველზე დადგა.

ბურჟუაზიული რევოლიუცია გათავდა...

ამნაირათ როგორც კი პროლეტარიატმა მოისურვა თავის მიერ შექმნილი რესპუბლიკის თავისავე სასარგებლოთ გამოყენება, როგორც კი მოითხოვა დადებული პირობის შესრულება და მუშათა კითხვის საქმით გადაწყვეტა, ბურჟუაზია შეშფოთდა და მის წინააღმდეგ ამხედრდა. და რადგანაც ძალით დარღვეულ პირობის აღდგენა მხოლოთ ძალას შეუძლიან, ამიტომ პროლეტარიატი იძულებული შეიქმნა თვითონაც ამხედრებულიყო და მისი ფეხქვეშ გათელილი უფლება ხმლით ამოეგო, რევოლიუცია აუცილებელი შეიქნა.

მთავრობა შეუდგა თავისი მოწოდების ასრულებას—«საერო სახელოსნოთა» დაშლას და მუშების თავიდან მოცილებას. მან ჯერ შეავიწროვა მუშაობა, დღიური ქირის მაგიერ ნარდათ მუშაობა შემოიღო, პროვინციიდან მოსულ მუშებს სამუშაო არ მისცა, პოლიტიკურათ „საეჭვო“ მუშებს არ ღებულობდა და სხვა, ხოლო 21 ივნის 18—20 წლის მუშებს გამოუცხადა, ან ჯარში სალდათათ შესვლა, ან ციებცხელებიან სოლონის პროვინციაში გამგზავრება სამუშაოს მისაღებათ. ეს ნიშნავდა ახალგაზდა ახალხაგზა მოწინავე მუშების პარიჟიდან გარეკას, მუშათა ბანაკის დაყოფას და ასე მათზე გამარჯვებას. მუშებმა ერთხმათ იგრიალა „ჩვენ არ წავალთ, აქ ტყვიით სიკვდილი გვირჩევნია, ვინემ სოლონში ციებით!» ხალხი გამოვიდა სახელოსნოებიდან მოედვა ქუჩებს ბაირაღებით და რევოლიუციური სიმღერებით. 22 დილით თავი მოიყარეს პანტეონის მოედანზე მოსალაპარაკებლათ. მაგ არ ყავდათ არც ერთი ცნობილი წინამძღოლი, არც ერთი შეფი, მარა იქვე იშოვეს ერთი ასზე უმჯობესი. ეს მომავალი რევოლიუციის შეფი მუშათა თავდადებული მეთაური, არის ისევე მუშა, ბლანკისტი პიუჟოლი (ის იყო ბლანკის კლუბის ბიუროს წევრი). მან ასე მიმართა მუშებს: «ქვენ უთხარით თავის თავს ჩვენ გვაქვს უფლება მუშაობით ვიცხოვროთ, ხოლო იმათ მოგიგეს, ჩვენ გვაქვს უფლება თქვენ გინდ მოგკლათ, გინდ ჩვენ ნებაზე გამუშაოთ. თქვენ თქვით ჩვენ ჩვენი სისხლით მოვიპოვეთ თავისუფლება, ჩვენ გვსურს თავისუფალი დავრჩეთ; იმათ მოგიგეს, თქვენ ისევ ჩვენი მონები უნდა იყოთ; თქვენ მათ სამართლიანობაზე ელაპარაკებით, ისინი თქვენ შტიკებს გიჩვენებენ. და აი ამიტომ თავს გიყრით და ვაცხადებთ: ადამიანის უფლებები ფეხ ქვეშ გათელილია, ჩვენ ამ სისხლის მსმელთა და გამყვლეფელთა ძალას ძალითვე შევმუსრავთ!» მუშები პიუჟოლის წინამძღოლობით წავიდენ მთავრობასთან ძახილით: «ჩვენ არ წავალთ, ჩვენ არ წავალთ». მათი დელეგაცია მიიღო მინისტრმა მარიმ.

„მოქალაქე, მიმართა პიუჟოლმა, თებერვლის რევოლიუციის წინ...

— უკაცრავათ, გააწყვეტია სიტყვა მინისტრმა, მე მგოლია თქვენ ძლიერ შორიდან იწყებთ; ნუ დაივიწყებთ, რომ მე დასაკარგავი დრო არა მაქვს.

— თქვენი დრო თქვენი არ არის, მოქალაქე, ის არის ხალხის, რომლის წარმომადგენელი თქვენ ხართ.

— მოქალაქე პიუჟოლ, მუქარით მიუგო მარიმ, ჩვენ კაი ხანია თქვენ გიცნობთ და თვალყურს გადევნებთ, ეს პირველი არ არის ჩვენი შეხვედრა. 15 მაისს თქვენ პირველმა გამოიარეთ პალატის ეზოს მოაჯირი და მე დამელაპარაკეთ.

— დიახ, მაგრამ იცოდეთ, რომ იმ დღიდან როცა მე ხალხის თავისუფლების დასაცავათ თავი გადავდევი, ჩემს თავს პირობა ჩამოვართვი—არავითარი მუქარის წინ არ დავიხიო, მაშასადამე თქვენი მუქარა სრულიათ უნაყოფოა.

მარი შებრუნდა და სხვა დელეგატებს მიმართა: მე ვერ ვიცნობ ხალხის წარმომადგენელათ იმ პირს, რომელმაც 15 მაისის არეულობაში მონაწილეობა მიიღო. ილაპარაკეთ თქვენ, რა გაქვთ საჩივარი, ყურს გიგდებთ.

*) იხ. „მოგზაური“ № 22, მაისი 1905 წ.

— ჩემს წინ აქ ვერავინ ვერ ილაპარაკებს,—თქვა პიუ-ჟოლმა.

— ვერა, ვერა შესძახეს დელეგატებმა.

— ნუ თუ თქვენ ამ კაცის მონები ხართ,—შეეკითხა მარი გაჯავრებული.

— თქვენ შეურაცხყოფთ ხალხის დელეგატებს,—შეყვირა პიუჟოლმა.

— იცით რომ თქვენ აღმასრულებელი კომისიის წევრს ელაპარაკებით?

— დიახაც ვიცი, მარა ვიცი აგრეთვე, რომ თქვენ მეც პატივისცემით უნდა მეპყრობოდეთ, ვინაიდან, თუ თქვენ აღმასრულებელი კომისიის წევრი ხართ, მე ხალხის დელეგატი ვარ, მიუგო პიუჟოლმა. ამ ხმაურობაზე ზალაში შემოდიან აფიცერები და წყნარათ დელეგატებს ირგვლივ ეხვევიან.

— რადგანაც თქვენ არ გსურთ ჩვენთან ლაპარაკი, მიმართავს პიუჟოლი მარის აფიცერთა დანახვაზე, ჩვენ ვბრუნდებით.

—ილაპარაკეთ, ნებას აძლევს მარი.

—მოქალაქე, დაიწყო ორატორმა, თებერვლის რევოლიუციის წინ მუშა ხალხი კაპიტალის ქვეშ გმინავდა, ამ უღლიდან განთავისუფლებისათვის მან იარაღი შეისხა და მხოლოთ შემდეგ დემოკრატიული და სოციალური რესპუბლიკის დაარსებისა იარაღი აიყარა. ამ რესპუბლიკას ის სამუდამოთ უნდა დაეხსნა ყმობისაგან. დღეს მუშები ხედავენ, რომ ისინი სამარცხვინოთ მოატყუეს; იცოდეთ რომ ისინი მზათ არიან თავისუფლების შესარჩენათ ყოველივე მსხვერპლი გაიღონ, თავისივე სიცოცხლეც.

— მივხვდი, მივხვდი, მიუგო მინისტრმა, ძლიერ კარგი! აი რას გეტყვით, თუ მუშებს პროვინციაში წასვლა არ სურთ, ჩვენ მათ ძალათ წავიყვანთ, ძალათ, გესმით?

— ძალაათ? კარგი ახლა ჩვენ გავიგეთ რის გაგებაც გვინდოდა.

— რის გაგება გინდოდათ?—შეეკითხა მარი.

— იმის რომ აღმასრულებელი კომისიას გულწრფელათ არასოდეს არ ნდომებია შრომის ორგანიზაცია. მშვიდობით, მოქალაქე".

მთავრობის მუქარას მთელი პარიჟი გებულობს, საერო სახელოსნოების მუშებს შეუერთდა მრავალი სხვა მუშები, ჯგუფ-ჯგუფათ ქუჩებზე დადიან და ხალხს აღელვებენ, ქალაქი ბობოქრობს, ყველა რაღაცას მოელის, ყოველგან ყრილობები და კრებებია. აი როგორ ასწერს. პრეფექტის ანგარიში ამ დღის მღელვარებას: „22 ივნისი. $10^3/_4$ საათი. 250—300 მუშა „საერო სახელოსნოთა" ბაირაღებით, ‖ტიულერით წამოვიდენ პანტეონისაკენ. რევოლიუციური სიმღერებით.

11 საათი. 500 კაცმა ბაირაღით გაიარეს მეშვიდე უბანი და გაიძახოდენ: სოლონში არ წავალთ, აქ სიკვდილი სჯობს! ამას უმატებდენ, რომ იარაღს აიღებენ საერო კრების წინააღმდეგ და მათ მოძრაკი მილიცია მიემხრობა.

12 საათი. საბჭოს წინ შეიყარა ორი დიდი ჯგუფი, ამბობენ სოლონი ციებიან ადგილია, მუშები იქ არ უნდა წავიდენ, მთავრობას მხოლოთ მათი თავიდან მოშორება სურს. შემდეგ გასწიეს სენტ-ანტუანისაკენ მღერით—«ჩვენ არ წავალთ!» ლანძღავენ განსაკუთრებით ლამარტინს და მარის. იძახიან ყველა მდიდარი ქურდია. პანტეონის მოედანი დანიშნეს საღამოს ექვსს საათზე თავის მოსაყრელათ. $12^3/_4$ საათი. 200-მა მუშამ გაირბინა მე-12 უბანი ძახილით—ამ საღამოს პანტეონთან 6 საათზე!

1 საათი. საბჭოსთან დგას ერთი დიდი ჯგუფი და ყვარის: ძირს მარი, ძირს ტიერი, საღამოს პანტეონთან!

2 საათი. პანტეონთან შეკრებილი ხალხი ბიბ! ‖ ‖ ‖

საომარი პუნკტები, დაანაწილეს შეფები და იარაღები. ბრიგადირები წავიდენ სენტანტუანის უბანში მებრძოლთა შესაკრებათ და უბნის გასამაგრებლათ. ზოგი ბასტილიის მოედანზე გაექანა თავიანთი რაზმების სათავეში ჩასადგომათ, ბრძოლის პლანი შეიმუშავეს.

დილას, პარასკევს, 6 საათზე 23 ივნისს, პანტეონის მოედანი ხელახლა დაიჭირეს შეფიცულებმა, პანტეონის კიბიდგან გამოდგა პიუჟოლი: „მოქალაქენო, თქვენ ერთგულათ შეასრულეთ ჩემი მოწოდება. გმადლობთ. თქვენ დღესაც გუშინდელი კაცები ხართ, გავსწიოთ“. ხალხი დაიძრა ბასტილიის მოედნისაკენ. აქ გაჩერდენ და ბასტილიის ძეგლის გარეშემო შემოკრბენ. პიუჟოლი გადმოდგა პედესტალიდგან: „ქუდი მოიხადეთ, დაიძახა მეთაურმა, ყველა ქუდს იხთის, „მოქალაქენო, განაგრძობს ორატორი, თქვენ, დგეხართ თავისუფლების პირველწამებულთა საფლავზე, თაყვანი ეცით!“ ყველა იჩოქებს, „ბასტილიის გმირებო, იწყებს პიუჟოლი და თვალებს ცისაკენ აპყრობს, როგორც თქვენ ამათაც მოახდინეს რევოლიუცია თაკისი სისხლით, მარა დღემდის მათი სისხლი უნაყოფოა, რევოლიუცია ხელახლა დასაწყებია. მეგობრებო, ჩვენი საქმე ჩვენ მამათა საქმეა. მათ ბაირაღზე ეწერა: „თავისუფლება ან სიკვდილი!“ მეგობრებო, თავისუფლება, ან სიკვდილი;“ და ხალხი წამომდგარი ერთხმათ გრიალებს: თავისუფლება ან სიკვდილი!“ და ბულვარით მიდის სენ-ცენის ქუჩასაკენ. აქ ჩერდებიან, მეთაურნი ბრძანებას იძლევიან: იარაღი, ბარიკადები! და ყველა იწყებს ბარიკადების შენებას, ქუჩის სიმაგრეთა აგებას. სჭრიან ხეებს, აჩერებენ ეტლებს, აგროვებენ ტროტუარის ქვებს, გამოაქვენ ახლო-მახლო რესტორანებიდან და სახლებიდან სკამები, სტოლები, ფიცრები—ყველაფერი რაც კი სიმაგრის ასაშენებლათ გამოდგება. მცხოვრებლები (ეს მეშათა უბანია) აწვდიან იარაღს, ტყვია-წამალს, ქალები და ბავშვები შველიან, მუშა-მილიციონერები თავის იარაღებით აჯანყებულთ უერთდებიან. თერთმეტის ნახევარზე პირველი ბარიკადი აიმართა ბონნუველის ბულვარზე, მეორე იქავე 25 ნაბიჯის სიშორეზე, ეს პირველის საფარია; მესამე პირდაპირ მიზაგრანის ქუჩაზე. ყველაზე აწერია: პური ან სიკვდილი! ამავე დროს ასეთივე სიმაგრენი შენდება უბნებში სენ მატცენის, ტამპლის, სენტანტუანის, პუასონიერის, ბასტილიის მოედანზე, ყველა ეს სენის მარჯვენა მხარეზე. სენის მარცხნივ ბარიკადებია პანტეონის ირგვლივ, სანჟაკის უბანში და ძველ ქალაქში, შუადღისას ნახევარი პარიჟი, პარიჟი ღარიბი და განწირული აჯანყებულთა ხელშია. აი როგორ ასწერს ერთ ბარიკადას ვიქტორ ჰიუგო თავის „საბრალონში“: ერთი ბარიკადი ამართული იყო სენტანტუანის უბნის თავში და უბნის შესავალს ახშობდა, ის სიმაღლით მესამე სართულს უწევდა, სიგძით შვიდასს ნაბიჯს შეიცავდა. ეს უზარმაზარი სიმაგრე ერთიანათ ხურავდა უბანში შემოსავალ სამ გზას. მის დასაცავათ მის უკან ამართულია ცხრამეტი უმცროსი ბარიკადა. აქ ყველაფერი იარაღათ გამოეყენებიათ. თოფებიდგან ვარდებოდა ქვის ნაჭერი, ძვლების ნატეხი—ყველაფერი რაც კი ადამიანს ავნებს. ხან და ხან ჯარის ახლო მოსატყუებლათ სიმაგრიდან აჯანყებულნი თავს ამოყოფდენ და ამასთან ერთად მათ იარაღებსაც ვხედავდით: ხმლებს, თოფებს, შტიკებს. ბარიკადაზე ფრიალებდა ერთი ეროვნული წითელი დროშა. იქიდან მოისმოდა კომანდერის ხმა, აღტაცებული საომარი სიმღერა, საკრავი და ქალების დავა, რევოლიუციის ცეცხლი აღგზნებული იყო ბარიკადის მწვერვალზე, საიდგანაც დაბლა ჩამოქუხდა ხალხის ხმა, ხმა თანასწორი ღვთის ხმისა. ეს უზარმაზარი ბარიკადა ისეთი სიმაგრეა, რომლის წინაშე აფრიკის ღენერალის სტრატეგია ენდა დამარცხებულიყო. ტყვიაც ვერას აწყობდა, ის ხოლოთ პაწია ნახკრეტს აკეთებდა. თვით ომის ველური სცენების მაჩვეულ ბათალიონებსაც კი აფთხობდა ამ უსაშინლესი საფარის ერთი შეხედვა“...

აჯანყებული პარიჟი დაიფარა 414 ბარიკადით. ყველა ეს აგებულია საბჭოს ირგვლივ და ყოველი მხრით მისკენ მოდის, ვინაიდან ბრძოლის მიზანია საბჭოს აღება, იქ რევოლიუციური მთავრობის გამოცხადება და მით პარიჟის და საფრანგეთის დაპატრონება.

როცა პროლეტარიატი ასე ამაგრებდა ღარიბ პარიჟს, მთავრობა თაკისი მხრივ შეუდგა მდიდარი პარიჟის გამაგრებას ელისეის მიდორზე, პალატის ახლო-მახლო, ტიუილერის სასახლესთან, მარსის მოედანზე, ჯარების მოგროვებას და აქედან ღარიბ პარიჟზე იერიშით მიმავლას. გამოიყვანეს საერო მილიცია, ეს შეიარაღებული ბურჟუაზია (მუშები არ გამოცხადებულან), თავის დუქნის და საკუთრების დასაცავათ, ჯართა მთავარ სარდალობა იტვირთა თვით სამხედრო მინისტრმა კავენიაკმა და დაყო მთელი თავისი ძალა სამათ: ერთი დივიზია ჩააბარა ღენერალს ბელოს აჯანყების ცენტრთან, საბჭოს არე-მარეზე აგებულ ბარიკადებთან საბრძოლველათ. ერთი ღენერალი მისცა მეორე დივიზიას ბულვარების დასაჭერათ და აჯანყების მარჯვენა ფრთის შესაკრავათ, ღენერალი ლამორსი მესამე დივიზიით იყო სენის მარცხნივ, პანტეონისაკენ, ხოლო კავალერია ჩააბარა გრუშოს.

ამ ნაირათ მხედრობა, საერო და მოძრავი მილიცია, სულ 60 ათასი მეომარი, დაიძრა რევოლიუციის წინააღმდეგ. გავყვეთ ამ ღენერლებს ჩვენც და გავეცნათ ქუჩის ბრძოლას.

ან.

(შემდეგი იქნება).

შენიშვნა.

რამდენიმე ამხანაგი გვეკითხება, რას ნიშნავს შემდეგი სიტყვები, რომლებიც „მოგზაურის“ მე-22 №-შია დაბეჭდილი, სახელდობრ:

ჩვენთვის „დღეს, როცა გარშემო საერთო გათახსირება და დაცემაა, როცა ბირადმა ანგარიშებმა ჩაგრულთა მოსახლეობის წრეშიაც იჩინა თავი“... საჭიროთ მიგვაჩნია განვმარტოთ, რომ ეს სიტყვები სრულიათ არ ეხება არსებულ ორ მიმდინარეობას და უთანხმოებას და თუ ვისმე ასე გაუგია,—ეს უნდა იყოს გამოწვეული უხერხული კონსტრუქციით, რაც რედაქციას მეტათ სამწუხაროთ მიაჩნია. რედაქცია.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

ალექსანდრე წულუკიძის გარდაცვალების ამბავმა გამოუქმელი მწუხარება გამოიწვია ჩვენში. უდროებელმა სენმა უდროოთ მოგვაშორა ერთი საუკეთესო ახალგაზრდა მებრძოლთაგანი. ის ვედარ იგემებს იმ ბრძოლის ნაყოფს, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობას იღებდა და ეს კიდევ უცრო გვაღონებს. ჩვენ კი მოგვაკლდა ერთი საუკეთესო მოდგაწეთაგანი. იმ საზოგადოებაში რომლის ინტერესებსაც განსვენებული ემსახურებოდა, მისი დაკარგვა საშუალოოთ ადგილდაბლია და ვერავითარი ძალა ვერ ამოშლის. ალექსანდრე წულუკიძის სსოვნა ნათელ სხივსავით გაგვანათებს გზას უკეთესი მერმისისაკენ.

პლატონ კახიძე, გ. ჯაში, ლ. არეშიძე, ა. ვადაჭკორია, კ. სარგებლიძე, ტრ. კუკულავა, მ. ტაქინა, გ. ავალიანი, შ. შარაბნიძე, მი-

ნა, გოგოლილაშვილი, ვ. დევდარიანი, გ. ე. ერგემლიძე, მ. დევდარიანი, დ. ჩიკვაიძე, ს. ხვედელიძე, სევერიან უგრეხელიძე, გინ. სამთელაძე, პ. კაციტაძე. ე. სურგულაძე, ნ. კერვალიძე ს. ჯანაძე, პ. მილორავა, კ. ჯაფარიძე, მელ. გურგენიძე, ვ. ვილაგაძე, გურგენიძე, ი. გაგოშიძე, ი. წერეთელი, დ. კაციტაძე, კ. ცაგურიშვილი, ივ. კინწურაშვილი, გ. სვანიძე, პ. კუჟიაძე, ს. ტერტეროვი, ვ. ბუაძე. გ. ასათიანი, ა. ვეშაპიძე. ი. ღაღანიძე, ე. ღაღანიძე, ი. ცაგარეიშვილი, ე. ჯავარაძე, ი. ბაბუნაშვილი, ო. ფხაკაძე, ე. ქურციკიძე, ვ. არჩუაძე, ლ. აბდალაძე, ა. მუცუკიძე, დ. ლომთაძე, ბ. ცქიტიშვილი, ს. ჩიტალაძე, მექი კახიძე.

—

ფოთის სამასი მუშის რწმუნებულები მომმართვენ რა წერილით მაბრალებენ, რომ ვითომც მე მათთვის რაღაც ცილი დამეწამებიოს ტყუილ უბრალოთ და ამით შეურაცხყოფა დამცირება მიმეყენებიოს მათთვის. ამით ვაცხადებ საყოველთაოთ, რომ ამ ზემოხსენებულ მუშებისათვის მე არავითარი ცილი არ დამიწამებია და აზრათაც-კი არ მომსვლია ეს არასოდეს; ასე რომ მათი ცნობა ვერ არის მართალი და სასურველი კი იყო სანამ მას საქვეყნოთ გამოიტანდენ შეემოწმებიათ, გაეგოთ უფრო სარწმუნო წყაროებიდან სინამდვილე და ამის შემდეგ დარწმუნებული ვარ არც იმ წერილის დაწერა დასჭირდებოდათ.

მე მხოლოთ მიუთითე საზოგადოებას იმ ვაუბატონებზე, რომელნიც ხალხს თავს მეგობრათ აჩვენებენ ღა ნამდვილათ კი მტრობას უწევენ. მაგალითისათვის მოვიყვანე თუ რა როლი იკისრა ავტონომისტმა ფოთში ხალხის ხალხზე მისვლაში, რომლის მოთავე ბნელი ძალები და ფოთში ყოფილი „პოდრიადჩიკები“ გახლდათ (დღეს ისინი არ არიან „პოდრადჩიკებათ“, რადგანაც იუშებმა შეიგნეს თუ რაგვარ წურბელას წარმოადგენდენ ისინი მათთვის და განდევნეს ეს ვაუბატონები, რამაც გამოიწვია მათი გაწიწმატება). ამის შესახებ ბ. სახოკიამ წერილი დაბეჭდა „ცნობის ფურცელში“, რის შემდეგაც ჩემი პასუხიც იბეჭდება „მოგზაურში“ 22 №-ში, რომლითაც ვიწყებ მას სამედიატორო სამართალში და რომელიც ყველაფერს გამოარკვევს სინამდვილით (ამ წერილის დაბეჭდვა ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზებისაგამო დაგვიანდა).

თქვენ კი ბ-ნო რწმუნებულნო, თუ ავტონომისტების ბრმა კლაკიორობას კისრულობთ, ეს ძალიან სამწუხაროა, რადგანაც ეს ღალატია მუშათა საქმისა და ინტერესების. გარწმუნებთ, რომ თუ დაუკვირდებით და გულწრფელათ აღიარებთ, მალე დარწმუნდებით თქვენს შეცთომაში და ჩქარა დაადგებით ჭეშმარიტ გზაზე. რაც შეეხება თქვენ მიერ მოყვანილ იმ მოსაზრებას, რომ „ვინც ჩვენი მხრით ჩაერია საქმეში ყველა დასამშვიდებელ საშვალებას იღებსო და სხ.“, ეს იმ სამედიატორო სამართალმა უნდა გამოარკვიოს, რომელიც მე და იმ ავტონომისტს შვა იქნება გამართული.

ბატონებო! თუ ამას შემდეგ რაიმე იჭვი კიდევ გეპარებათ იმაზე, რომ მე ვითომც თქვენ ცილი დაგწამე, მაშინ დიდის კმაყოფილებით თანახმა ვარ სამედიატორო სამართალისა, მხოლოთ ყოველ შემთხვევაში გამაგებინეთ გარკვევით თუ რაში გამოიხატება თქვენი ბრალდება.

ბენია ჩხიკვიშვილი.

—

დიდ წერილი ცნობის ფურცლის თანამშრომელს „სიტყვას“.

ბ. სიტყვა!

ხუთ ივნისის „ცნობის ფურცლის“ ფელეტონში თქვენ მიწოდებთ მე „ყოვლად საზიზღარ ცილის წამებელს“. მე დარწმუნებული ვარ ჩემსს სიმართლეში, დარწმუნებული ვარ, რომ რაც ვთქვი [1]) იმას კიდეც დავამტკიცებ სამედიატორო სამართალში, რომელიც ახლო მომავალში უნდა მოწყვეს, გახსოვდეთ, რომ თუ ჩემი სიმართლე დამტკიცდა, მაშინ თქვენ იქნებით „ყოვლად საზიზღარი ცილის წამებელი“ და როგორც ამგვარის, თქვენი ადგილი მხოლოთ სამარცხვინო ბოძი იქნება.

შენიშვნა 1) იქონიეთ სახეში, რომ ჩემი ბრალდება და სიტყვები ბევრით განსხვავდება ბ. სახოკიას მიერ ჩემზე მოწერილი ბრალდებისაგან, ამის დასამტკიცებლათ იხ. თ. სახოკიას წერილი „ცნ, ფურცელში“ და ჩემი პასუხი მასზე“ მოგზაურის 22 № ში, რომელიც „ცნობის ფურცელმა“ არ დაბეჭდა და მხოლოთ გადამახინჯებულათ გააცნო საზოგადოებას (ეს წერილი „სიტყვას“ ხელში ქონდა მაშინ როცა თავის ფელეტონს სწერდა, რადგანაც ფელეტონი 5 ივნისსაა დაბეჭდილი და მე კი ორ ივნისს გაუგზავნე „ცნ. ფურ,“ წერილი.

თუ ვერ დავამტკიცებ ჩემ მიერ ნათქვამს, მაშინ რასაკვირველია თვით მე ვიქნები ამგვარი სამარცხვინო ბოძის ღირსი, გთხოვ გამოაცხადოთ თქვენი აზრი ამ პირობის შესახებ.

ბენია ჩხიკვიშვილი.

10 ივნისი,

—

ბატონო რედაქტორო! ვიღაც კაპიტონ მეუნარგია, როგორც გავიგე ცნობის ფურც. 2839 № დან, პროტესტს აცხადებს ჩემ ბრალდების წინააღმდეგ და მიწვევს სამედიატორო სამართალში. გთხოვთ გამაგებინოთ ვინაა ეს ბ. მეუნარგია, რა აკაკანებს მას, ან ვისი სახელით მიწვევს სამედიატორო სამართალში და რა ბრალდება აქვს ჩემ წინააღმდეგ?

თუ რამე სერიოზულია მასში და მართლა ბრალდება აქვს ჩემ წინააღმდეგ, დიდის კმაყოფილებით თანახმა ვარ მასაც გავყვე სამედიატორო სამართალში და მასაც დავუმტკიცო ის ანბანური ჭეშმარიტება, თუ როგორ იცავენ ნაციონალისტები ხალხის ინტერესებს და რამდენათ მართალია ჩემი მათ წინააღმდეგ ბათუმში მიმართული სიტყვები. *)

ბენია ჩხიკვიშვილი.

11 ივნისი.

—

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის „მოგზაურის“ საშუალებით შემდეგი სიმართლე ვაღიარო.

1904 წ, „კვალის“ მე—№ 3-ში მოთავსებულია კორესპოდენცია ხიდისთავისაგან, რომელთაც ცილი ეწამებოდა ხიდისთავის აფთიაქის პატრონს ბ. ნიკო გეგელაშვილს. ამის შესახებ ბ. გეგელაშვილმა გამოიწვია საამხანაგო სამართალში, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამოყს არ შედგა. დღეს როგორც დავრწმუნდი ტყუილ უბრალოთ შეურაცყოფა მიმიყენებია და ჩემი ცილის წამება მაზედ სიმართლეს მოკლებულია.

სერაპიონ რამიშვილი.

26 აპრილი.

—

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშვალებით ბ. კალამს საუვედური გამოუცხადოთ ჩემგან, წულუკიძის ნეკროლოგის დაწერისათვის. დიდათ ნასიამოვნები დავრჩებოდი, რომ „ცნობის ფურცელი“ და კალამი არ შეწუხებულიყო ამაზე.

დავშთები თქვენი, **ვ. კახიანი.**

—

გავიგეთ რა სარწმუნო წყაროებიდან, რომ ჩვენი ყოფილ-ამხანაგი სერგო ქორიძე ყოვლათ უზნეოთ და შეუფერებლათ მოქცეულა სოფლათ (ს. ციხე, გურია) ყოფნის დროს, ამიტომ ჩვენ, თფილისელი ამხანაგები, ვუცხადებთ ჩვენს ზიზღსა და პროტესტს მისი უმგზავსო საქციელისათვის.

თფილისელი ასოთ ამწყობნი *).

---

*) ხელს აწერს 30 კაცი. რედ.

*) ეს წერილები „ივერიის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციებში წარვადგინე, მაგრამ რედგანციის ხელმძღვანელებმა საჭიროთ არა სცნეს დაბეჭდვა.

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18-го Іюня 1905 г. ტაბა ე. ი. ხელაძისა. რუსის ბაზარი, სახლი სომხ. სას. სემ.